www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 9 აგვისტო, 2012 წელი. | №3086 (179) | ფასი 50 თეთრი

4 წლის შემდეგ...

აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე საქართველოში

მარი ახსიაშვილი

გუშინ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ჯარისკაცთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები მთელი საქართველოს მასშტაბით გაიმართა. მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე საქართველო-რუსეთის ომში დაღუპულთა ჭირისუფლები დილიდან შეიკრიბნენ. სასაფლაოზე იმყოფებოდნენ სამხედრო მოსამსახურეები, რომლებმაც დაღუპულ თანამებრძოლთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

რუსეთის ვეტოს დაძლევის მექანიზმი

დათო გამისონია

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითმა კომისიამ გაერო-ს უშიშროების საბჭოში რუსეთის ვეტოს უფლების დაძლევის საკითხზე მომზადებული განცხადება გუშინ წარმოადგინა. კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ "24 საათთან" საუბარში ეს მექანიზმი განმარტა. **"რუსეთი კონფლიქტის მონაწილე მხარეა. გაერო-ს უშიშროების საბჭოს კი აქვს წესი, რომლის თანახმად, მხარემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს მუხლი გამოყენებული უნდა იყოს,** - აღნიშნავს შოთა მალაშხია, - **ამ საკითხზე საერთაშორისო თანამეგობრობასთან აქტიურად ვიმუშავებთ."**

განცხადება საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის აღწერითა და საქართველოს შესახებ მიღებული საერთაშორისო აქტების განხილვით იწყება. გარდა ამისა, კომისია საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას კიდევ ერთხელ ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ საქართველოს მიმართ განხორციელებული სამხედრო აგრესიითა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებით რუსეთმა ფეხქვეშ გათელა მის მიერვე ხელმოწერილი გაერო-ს უშიშროების საბჭოს ათეულობით რეზოლუცია (1994-2008 წწ.), რომლებშიც მხარდაჭერილია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

იანუკოვიჩმა "ენის კანონის" საფუძვლიანად შეცვლა მოითხოვა

სალომე ჯანიაშვილი

გუშინ, გვიან საღამოს, იანუკოვიჩმა კანონს ხელი მაინც მოაწერა.

უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა აღიარა, რომ "ენის" კანონს, რომელიც პარლამენტმა ცოტა ხნის წინ სკანდალურად მიიღო, უკრაინის საზოგადოებაში განხეთქილება შეაქვს და ქვეყანას ბევრ ზიანს მოუტანს. ამიტომ მან კანონში "ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებების" შეტანა მოითხოვა. კანონის შეწორებულ ვარინტს უმაღლესი რადა უკვე სექტემბრის სხდომაზე განიხილავს. ამის შესახებ განცხადება უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა ანა გერმანმა გააკეთა, მას შემდეგ, რაც ყირიმში ჩატარდა იანუკოვიჩის შეხვედრა ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. შეხვედრის ერთადერთი საკითხი სწორედ ენის ახალმიღებული კანონი იყო. ამ შეხვედრაში მონაწილეობდა, აგრეთვე, უკრაინის ექსპრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

დიდი ეკრანიდან ჩაკ ნორისი შემოგვხედავს

დღეს ჩვენს გაქირავებაში კომედია "ტედი" გამოდის

ია ვეკუა

"ტედი"

დიდი ხანია შევეჩვიეთ, რომ ჩვენს ქალაქში ღამ-ღამობით ღამურად გარდასახული ბრუს უეინი, ცათამბჯენებს შორის ობობას ქსელით მფრინავი პიტერ პარკერი ან სხვა პლანეტიდან მოფრენილი ფოლადის კლარკ კენტი ცხოვრობს, მაგრამ ის ფაქტი, რომ შესაძლოა, მეზობლად პლუშის დათუნია ტედი დასახლდეს, უკვე მეტისმეტია! თუმცა თანამედროვე კინო ყველაფერს იტანს, მათ შორის, ლოთ, აღვირახსნილ, სექსუალურად გაუწონასწორებელ და ზედმეტად პრეტენზიულ ტედისაც, რომლის შესახებ გადაღებული ფილმიც ჩვენს გაქირავებაში დღეს გამოდის.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6457⇓
1 ევრო	2.0433⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5758⇓
1 თურქული ლირა	0.9230⇓
100 რუსული რუბლი	5.1973⇓

თბილისი	36°C - 23°C
ქუთაისი	31°C - 21°C
თელავი	36°C - 19°C
ზუგდიდი	29°C - 21°C
ბათუმი	27°C - 23°C

ნავთობი	3.03	+0.03	+0.96%
გაზი	2.91	-0.05	-1.72%
ოქრო	1,614.70	+4.00	+0.25%
ხორბალი	896.75	+7.75	+0.86%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

კოკოშკოვის მოდელი

მანუჩარ მარკოიშვილი ნაკრების სტაბილიზატორია

რომან რურუა: "სადაა კისრული, "ვერტუშკა?"

კახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

ჭიდაობის ბევრმა გულშემატკივარმა იქნებ არც იცის, რომ 1968 წლის მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, რომან რურუას, საერთაშორისო არენაზე არასდროს წაუგია. ამის შესახებ თვითონ გვიამბო ლონდონის ექსცელ არენაზე, როცა ჩვენი ფალავნების გამოსვლას ველოდებოდით.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე



რუსეთი ქართველი მაშველების მადლიერია

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს სამაშველო ჯგუფების მიერ სვანეთში რუსი ტურისტების გადასარჩენად განხორციელებულ სამუშაოებს ემხაურება. როგორც რუსეთის საგარეო უწყების ვებგვერდზე გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, ოთხი რუსი მოყვარული მთამსვლელის ევაკუაცია მიუდგომელი და რთული ადგილიდან განხორციელდა.

"ერთ-ერთ დაშავებულს სამედიცინო დახმარებაც აღმოუჩინეს. საქართველოში შვეიცარიის საელჩოში რუსეთის სექციის ინფორმაციით, ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია. მადლიერებით აღვნიშნავთ ქართველი მაშველების ეფექტურ მუშაობას," - ნათქვამია განცხადებაში.

ორდღიანი სამძებრო სამუშაოების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა სვანეთში, თეთნულდის მთაზე მყოფი 4 რუსი ალპინისტი გუშინწინ გამოიყვანეს. სამაშველო ოპერაციებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 8-კაციანი ჯგუფი მონაწილეობდა.

გრიგორი კარასინი: "თბილისი უნდა მიმხვდარიყო, რომ დროა, საომარი რიტორიკა შეწყვიტოს"

"აგვისტოს ომიდან მე-4 წლისთავზე სამხრეთ ოსეთი, როგორც სახელმწიფო, შედგა," - ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგორი კარასინმა რუს ჟურნალისტებს განუცხადა. მისი თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთის მიერ.

ჟურნალისტებმა კარასინს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის იმ განცხადების კომენტირება სთხოვეს, რომელშიც გრიგოლ ვაშაძე აღნიშნავდა, რომ დღეს მსოფლიოში არ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას გეგმავს.

"ვეჭვობ, ეს პროცესი შეჩერდეს. რაც შეეხება თბილისს, ოთხი წლის განმავლობაში უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ დროა, შეწყვიტონ საომარი რიტორიკა, რომელიც არაფრის მომცემია," - აღნიშნა კარასინმა.

მისივე თქმით, 14 აგვისტოს ქართული-აფხაზური კონფლიქტიდან 20 წელი სრულდება. რუსი დიპლომატი აცხადებს, რომ არ ისურვებდა მაშინდელი მოვლენების განმეორებას.

"რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რათა არ განმეორდეს ეს მოვლენები. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის აგრესიულ განცხადებებს, მსოფლიო უკვე შეეჩვია ამ პოლიტიკოსის თავშეუკავებლობას," - აცხადებს კარასინი.

მისი თქმით, "საქართველოს მთავრობის წევრებს ჯერ კიდევ უდევთ თავში ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი გზით აღდგენის რევანშისტული სცენარი".

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

რუსეთის ვეტოს დაძლევის მექანიზმი

პირველი გვერდიდან

კომისიას მიაჩნია, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ზონებში გაერო-სა და ეუთო-ს დამკვირვებლების საქმიანობაზე ვეტოს დადებით რუსეთი ცდილობს, ეს რეგიონები საერთაშორისო მონიტორინგს ააცილოს, რაც მიზნად ისახავს "მოწმეების გარეშე" საქართველოს ორი რეგიონის ფაქტობრივი ანექსიის პროცესის ბოლომდე მიყვანას, ასევე ადმინისტრაციულ საზღვრებზე ვითარების შემდგომი ესკალაციისა და საქართველოს წინააღმდეგ მორიგი სამხედრო აგრესიისთვის საბაბის მოსაძებნად ადგილობრივი საოკუპაციო რეჟიმების გამოყენებას. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ამის დასტურია, აფხაზეთში, გალის რაიონში, ადამიანის უფლებათა ხელყოფის გახშირებული ფაქტები, ცხინვალის რეგიონში ვითარების ხელოვნურად დაძაბვის პერმანენტული მცდელობები, საქართველოს წინააღმდეგ გაშლილი დაუსრულებელი საინფორმაციო ომი.

კომისია გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოუწოდებს, ახალი რეალობიდან გამომდინარე, ყოვლისმომცველი ობიექტური შეფასება მისცეს რუსეთის ფედერაციის, როგორც კონფლიქტის მონაწილე მხარის ქმედებებს, რის შემდეგაც ექნება საშუალება, გამოიყენოს გაერო-ს წესდების დღემდე აუმოქმედებელი 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც **"უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებები ყველა სხვა საკითხზე მიღებულად ითვლება, როდესაც მათთვის მიცემულია უშიშროების საბჭოს ცხრა წევრის თანხვედრი ხმა, საბჭოს ყველა მუდმივი წევრის ჩათვლით, ამასთან, დავის მონაწილე მხარემ მე-4 თავისა და 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას კენჭისყრისგან თავი უნდა შეიკავოს."**

კომისია იმედოვნებს, რომ გაერო, ეუთო, ევროკავშირი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები ქმედით ღონისძიებებს განახორციელებენ საერთაშორისო მონიტორინგის ჩასატარებლად, ახალი სამშვიდობო ფორმატისა და ინტერნაციონალური სამშვიდობო კონტინგენტის შესაქმნელად.

დოკუმენტური ფილმები ოკუპაციაზე

ჟურნალისტებისთვის განცხადების გაცნობამდე კომისიის სხდომაზე, პროექტ "ოკუპაციის" ფარგლებში მომზადებული დოკუმენტური ფილმის "აგვისტოს" ინგლისურენოვანი ვერსიის პრეზენტაცია გაიმართა. შოთა მალაშხიას ინფორმაციით, პროექტის ფარგლებში მომზადდა 17 დოკუმენტური ფილმი, რომლებშიც საბჭოთა კავშირის მიერ 14 ქვეყანაში განხორციელებული ოკუპაციაა ასახული. **"გვინდა, რომ ფილმების ჩვენება იმ ქვეყნებში მოვაწყოთ, რომელთა შესახებაც არის მომზადებული. ამავდროულად ვაჩვენებთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ მომზადებულ დოკუმენტურ ფილმს "აგვისტოს", რათა პარალელები ნათელი იყოს,"** - აღნიშნა მალაშხიამ. მისი თქმით, შესაძლოა, ჩვენებები ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან დაიწყოს. ქართულთან ერთად, ყველა ფილმის რუსული და ინგლისურენოვანი ვერსიებიც მზად არის.

"ოკუპაციის" ფილმების ციკლის დასრულების შემდეგ კომისიის თაოსნობით პროექტ "ჩვენ კავკასიელების" ფარგლებში 12 დოკუმეტური ფილმის მომზადება დაიგეგმა. როგორც შოთა მალაშხია ამბობს, 5-ზე მუშაობა სექტემბრის დასაწყისისთვის დასრულებული იქნება. მათში ნაჩვენებია, რაც ხდებოდა კავკასიაში ოკუპაციის პერიოდში. ერთ-ერთი დოკუმენტური ფილმი - "სოჭი 2014 - ოლიმპიადა? - მალაშხიას თქმით, დღეს ყველაზე აქტუალურია. **"ფილმში პარალელები იქნება გავლებული 2014 წელს სოჭში დანიშნულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს, 1936 წლის ბერლინის და 1980 წლის მოსკოვის ზაფხულის ოლიმპიადებს შორის. მასში, ჩერქეზების გენოციდის გარდა, ნათქვამია, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია,"** - აღნიშნავს შოთა მალაშხია და დასძენს, რომ ფილმების ქართული, რუსული, ინგლისური და თურქულენოვანი ვერსიები ინტერნეტით გავრცელდება.

შოთა მალაშხიას თქმით, კავკასიის შესახებ დაგეგმილ დანარჩენ 7 ფილმში აღწერილი იქნება კავკასიაში როგორც დღეს არსებული, ასევე მეფის რუსეთისა და საბჭოთა დროინდელი ვითარება.

ოკუპანტი ოკუპირებულ რეგიონში

ნათია მსხილაძე

ცხინვალის მარიონეტული მთავრობის ლიდერი ლეონიდ თიბილოვი გუშინ რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევს მასპინძლობდა.

რუსეთის მთავრობის ვებგვერდზე გამოქვეყნებული პრესრელიზის თანახმად, მედვედევი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის პრეზიდენტი იყო, ცხინვალში 2008 წლის ომის ოთხი წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის ჩავიდა.

LifeNews-ის ინფორმაციით, მედვედევის შვეულმფრენი ქალაქ ჯავის მახლობლად განლაგებული მე-4 გვარდიული სამხედრო ბაზის მოედანზე დაჯდა. საფრენ ზოლთან ახლოს თბილისისთვის დამიზნებული 5 საბრძოლო დანადგარი "გრადია" განთავსებული.

გამოცემის ცნობით, მედვედევი ცხინვალში ჩასვლისთანავე ჯიპის საჭეს მიუჯდა და მარიონეტული რეჟიმის ლიდერ თიბილოვთან შეხვედრაზე გაემართა. მოგზაურობაში მედვედევს თან ახლდნენ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდიუკოვი და პრეზიდენტის მრჩეველი ტატიანა გოლიკოვა.

როგორც ცხინვალის ლიდერის მრჩეველმა ჟანა ჯოსეევამ აღნიშნა, მედვედევის ჩასვლის შესახებ მის ჩაფრენამდე ორი საათით ადრე შეიტყვეს.

რუსეთის პრემიერ-მინისტრი სამხრეთ ოსეთის ლიდერ ლეონიდ თიბილოვს შეხვდა, რომელმაც მედვედევს მადლობა გადაუხადა ოთხი წლის მშვიდობის მიღებული გადაწყვეტილებისთვის.

როგორც ოსური მედია წერს, თიბილოვთან შეხვედრაზე დიმიტრი მედვედევი სამხრეთ ოსეთის მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლების, გზების შეკეთების და საცხოვრებელი სახლების აშენების საკითხს შეეხო. **"უკანასკნელ წლებში, რესპუბლიკაში შემოვიდა გარკვეული თანხები, დაიწყო სამუშაოები, თუმცა გაკეთებული არც ისე ბევრია,"** - განაცხადა მედვედევმა.

გარდა ცხინვალში არსებული პრობლემებისა, მედვედევმა სამხრეთ ოსეთში განთავსებული რუსული ბაზების შესახებაც ისაუბრა. რუსეთის პრემიერის განცხადებით, ცხინვალს რუსული ბაზების არსებობა განვითარებაში ეხმარება. **"ცხინვალში ჩემი ვიზიტის მთავარი მიზანია, განვიხილო, თუ როგორ უნდა განვითარდეს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები,"** - აღნიშნა მედვედევმა.

ოს მოსახლეობას დაპირებები ლეონიდ თიბილოვმაც მისცა. ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის ლიდერი საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის მეოთხე წლისთავზე ოსებს "სამხრეთ ოსეთის" რუსეთთან მიერთებას ჰპირდება.

"ელიტა ბურჯის" იურისტს ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნანა დარასელიას გადაწყვეტილებით, კომპანია "ელიტა ბურჯის" იურისტს იმედა ნიკურაძეს ოცდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა.

სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ იმედა ნიკურაძის ადვოკატმა ალა კახნიაურმა განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს პატიმრობა პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდებისთვის შეეფარდა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება უკანონოა.

ალა კახნიაურის განცხადებით, იმედა ნიკურაძის ქმედება კანონიერი იყო, რადგან "ელიტა ბურჯის" ტერიტორიაზე 6 აგვისტოს სამართალდამცველები უკანონოდ იმყოფებოდნენ. ადვოკატი განმარტავს, რომ შპს "ბურჯის" ტერიტორიაზე აღსრულების ბიუროს შემოსვლის უფლება მხოლოდ მას შემდეგ ჰქონდა, რაც მესაკუთრე დასახელდებოდა.

"მესაკუთრე 7 აგვისტოს დასახელდა და აქედან გამომდინარე, ამის შემდეგ ჰქონდა მას უფლება მიემართა აღსრულების ბიუროსთვის შენობის დაცლის მოთხოვნით. ის შემთხვევა, რაშიც იმედა ნიკურაძეს ბრალს სდებენ 6 აგვისტოს მოხდა, მაშინ, როდესაც შპს "ბურჯის" ტერიტორიაზე განთავსებულ "ელიტა ბურჯში" დაცვის პოლიცია და აღმასრულებლები უკანონოდ იმყოფებოდნენ," - განაცხადა ალა კახნიაურმა.

იმედა ნიკურაძის ადვოკატები თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გუშინვე გაასაჩივრა.

"სასამართლოს გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ, დიდი იმედი არ მაქვს, რომ სასამართლო რეაგირებას მოახდენს, თუმცა ჩვენ ყველა ეტაპს გავივლით," - განაცხადა ალა კახნიაურმა.

გუშინწინ აღსრულების ბიუროს წარმომადგენლების მიერ "ბურჯში" დაწყებულ ქონების აღწერის პროცედურას ინციდენტი მოყვა. აღსრულების ბიუროს წარმომადგენლებს "ბურჯის" თანამშრომლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, რადგან, მათი განცხადებით, არ არსებობდა იურიდიული დოკუმენტი, მათ შორის არც ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა ახალი მფლობელის ვინაობა. მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, შსს-მ გამოძიებაც დაიწყო.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

4 წლის შემდეგ...

პირველი გვერდიდან

სასულიერო პირებმა დაღუპულთა სულის მოსახსენებელი პარაკლისი გადაიხადეს, ხოლო თავდაცვის სამინისტროს სასულე ორკესტრმა სამგლოვიარო მარში და საქართველოს ჰიმნი შეასრულა. ქართველი სამხედროების ხსოვნისადმი მიძღვნილ ცერემონიალს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და პირველი ლედი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი, სხვა პოლიტიკოსები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ.

გუშინვე, გორსა და ოკუპირებული ტერიტორიის მიმდებარე სოფლებში სხვადასხვა ღონისძიებები მიმდინარეობდა. გორის საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღევლინა. წირვას, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და ოპოზიციური პარტიების ლიდერების გარდა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ოჯახის წევრები და ნათესავები ესწრებოდნენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი კი ზემო ნიქოზში იმყოფებოდა. პრემიერ-მინისტრი საგუშაგოზე მყოფ ჯარისკაცებს შეხვდა და მათ საქართველოს სახელით მადლობა გადაუხადა. ვანო მერაბიშვილმა გაიხსენა 2008 წლის ომის დროს დაღუპული ჯარისკაცები და აღნიშნა, რომ მათი ოჯახები ყოველთვის იქნებიან სახელმწიფოს მზრუნველობის ქვეშ. პრემიერ-მინისტრი ასევე გაეცნო საგუშაგოზე მყოფი ჯარისკაცების საველე პირობებს.

"ის, რომ დღეს საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა, თქვენი დამსახურებაა. აქ ყველაზე ვაჟკაცური ხალხია, სხვებს არ ეწყინოთ," - განაცხადა პრემიერმა ჯარისკაცებთან შეხვედრაზე და აღნიშნა, რომ, როდესაც ხეობაში ჩადიოდა, ადგილობრივების წუწუნი არასდროს გაუგონია.

"განწყობილი ვიყავი, რომ დამეწყნარებინა, იმედი მიმეცა და პირიქით გამოდიოდა ხოლმე - ჩავიდოდი და აქეთ მაწყნარებდნენ," - დასძინა ვანო მერაბიშვილმა.

აგვისტოს ომის მე-4 წლისთავზე საქართველოს პრეზიდენტი გორის სამხედრო აკადემიაში სიტყვით გამოვიდა. მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგებზე ისაუბრა და იმ საფრთხეებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებიც, სააკაშვილის თქმით, ახალ პუტინურ გეგმებშია.

"4 წლის წინათ რუსეთს საქართველოს ტერიტორიების ოკუპირების დროს ჰქონდა მკვეთრად გამოკვეთილი 3-პუნქტიანი გეგმა - დაემხო საქართველოს მთავრობა, მისთვის დაეკარგა გეოპოლიტიკური ფუნქცია და ხელი შეეშალა, ერთი მხრივ, ნატო-ს გაფართოებისთვის და, მეორე მხრივ, საქართველოსთვის ალიანსში გაწევრიანებით უსაფრთხოების გრძელვადიანი გარანტიების მიღებისთვის, ასევე ქვეყნის ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესისთვის. ოკუპანტმა მიზანს ვერც ერთი მიმართულებით ვერ მიაღწია და სწორედ ამიტომ ის გამარჯვებული არ არის," - განაცხადა სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ ქართველი პატრიოტების მკვლელების ოცნებაა, დაეჩოქონ საქართველო, მაგრამ ამას ვერ მიაღწევენ.

საქართველოს პრეზიდენტი დევნილების საკითხსაც შეეხო და აღნიშნა, რომ სახელმწიფო არც ერთ დევნილს განსაცდელში არ დატოვებს.

"მათი ტკივილი ყველა ჩვენგანის ტკივილია, მათი ბრაზით ყველა ჩვენგანია გაბრაზებული და ეს იქნება ასე, სანამ საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეული თითოეული ჩვენი მოქალაქე არ დაიბრუნებს თავის კარმიდამოს, თავის ღირსებას და საკუთრებას," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პუტინისა და რუსი გენერლების აღიარება

რუსეთში, აგვისტოს ომის მე-4 წლისთავზე, ახალი დოკუმენტური ფილმის - "დაკარგული დღის" პრემიერა გაიმართა. 47-წუთიან ფილმში რუსული გენერალიტეტი ერთხმად ადანაშაულებს საკუთარ პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს საქართველოში ჯარების დაგვიანებით შეყვანაში. **"მედვედევის ლაჩრობამ 1 000 ადამიანი მოკლა,"** - აცხადებენ გენერლები. რუსეთის მაშინდელი გენშტაბის უფროსი, გენერალი იური ბალუევსკი აცხადებს, რომ მედვედევს მხოლოდ ბრძანება უნდა გაეცა, სამხედრო მეთაურები დეტალური ინსტრუქციების პაკეტს გახსნიდნენ და მოქმედებას დაიწყებდნენ.

ბალუევსკის განმარტებით, რუსეთის გენშტაბმა ჯერ კიდევ პუტინის პრეზიდენტობის დროს შეიმუშავა საქართველოში ინტერვენციის გეგმა და მისი დეტალური ინსტრუქციები ყველა შესაბამისი სამხედრო ნაწილის მეთაურს ჰქონდა. გეგმის თანახმად, ცხინვალში შესვლის ბრძანება "პირველივე სროლაზე" უნდა გაცემულიყო. ბალუევსკის თქმით, მედვედევს მხოლოდ წლების წინ შემუშავებული პაკეტის შესრულება მართებდა და მსხვერპლიც ნაკლები იქნებოდა. ყოფილი გენშტაბის უფროსი მსხვერპლის დიდ რაოდენობაზე პასუხისმგებლობას რუსეთის იმდროინდელ პრეზიდენტს აკისრებს.

ფილმის შესახებ კომენტარი გააკეთა ვლადიმირ პუტინმა. პრეზიდენტის სიტყვები РБК daily-ის მოჰყავს. პუტინმა განაცხადა, რომ სამხედრო ძალის გამოყენება საპასუხისმგებლო საქმეა, ამიტომ, ბრძანების გაცემამდე ათჯერ მაინც უნდა დაფიქრდე. რუსეთის პრეზიდენტის თქმით, გადაწყვეტილების მიღებამდე რუსეთის ლიდერები სამი დღის განმავლობაში ფიქრობდნენ.

"შეიარაღებული ძალების გამოყენება ძალიან საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა, რადგან საომარი მოქმედებების დაწყება იმას ნიშნავს, რომ ისვრიან და ხალხი იღუპება. სანამ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებ, ათჯერ უნდა დაფიქრდე. რუსეთის ხელისუფლებამ ომის დაწყებამდე დაიწყო საპასუხო ძალის გამოყენების გაანალიზება, რადგან საქართველოს მიერ ომის დაწყებისთვის მზადების შესახებ რუსეთმა ჯერ კიდევ 2008 წლის 4 აგვისტოს შეიტყო. ჯარების შეყვანის შესახებ გადაწყვეტილება მას შემდეგ მივიღეთ, რაც ქართულმა მხარემ ცხინვალის დაცხრილვა დაიწყო," - განაცხადა პუტინმა. მისივე თქმით, რუსეთს აგვისტოს ომამდე ჰქონდა შემუშავებული სპეციალური გეგმა, რომლის თანახმადაც მოქმედებდა 2008 წლის აგვისტოში.

"გეგმა არსებობდა და ეს, ჩემი აზრით, საიდუმლო არ არის. სწორედ ამ გეგმის ფარგლებში მოქმედებდა რუსული მხარე. ეს გეგმა რუსეთის გენერალურმა შტაბმა ჯერ კიდევ 2006 წლის ბოლოს და 2007 წლის დასაწყისში მოამზადა. ეს გეგმა ჩემთან იყო შეთანხმებული და მე დავამტკიცე," - განაცხადა პუტინმა.

პუტინის განცხადებას გამოეხმაურა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტის "ასეთი ღია და თავხედური წამოცდენა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია".

"ასეთი აღიარება აქამდე არ გვქონია და პარადოქსული ვითარებაა, რომ დღემდე ზოგიერთები ინერციით ჯერ კიდევ კამათობენ იმაზე, თუ ვინ იყო აგრესორი," - განაცხადა გიგა ბოკერიამ.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტი სასამართლოში ჩივის

აგვისტოს ომის მე-4 წლისთავზე რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმაც გაავრცელა განცხადება. ის ქართულ მხარეს რუსეთის არმიის დისკრედიტაციაში ადანაშაულებს. განცხადებაში ნათქვამია, რომ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებმა და ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნებმა ე.წ. სამხრეთ ოსეთში მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინეს.

"ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ ყველა მოქალაქის საჩივარი. ასევე, შევისწავლეთ ის ვერსიაც, თითქოს რუსეთის შეირაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები უკანონო ქმედებებს ჩადიოდნენ, რაც არ დადასტურდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა 2 ათასამდე დაკითხული სამხედრო მოსამსახურე, ასევე 100-მდე მშვიდობიანი მცხოვრები. ისინი აცხადებენ, რომ რუსი სამხედროები არ ჩადიოდნენ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, პირიქით - ხელს უშლიდნენ მძარცველებს, მოეპარათ და დაეწვათ სახლები. მტკიცებულებები რუსი სამხედროების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ ვერც ქართული მხარის კომპეტენტურმა ორგანოებმა წარმოადგინეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ რუსმა გამომძიებლებმა არაერთხელ გაუგზავნეს კითხვები, რომლებიც უპასუხოდ დარჩა," - აცხადებენ საგამოძიებო კომიტეტში.

მათივე ინფორმაციით, გამოძიების ფარგლებში გამოვლინდა საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, მოეხდინა რუსეთის ჯარის დისკრედიტაცია.

"გამოძიებამ ჩვენება მიიღო უკანონოდ არჩეული დიმიტრი სანაკოევის მთავრობაში მომუშავე პირებისგან, რომ მას შემდეგ, რაც რუსულმა ჯარმა ცხინვალიდან და მიმდებარე სოფლებიდან ქართული ჯარის გამოდევნა დაიწყო, საქართველოს ხელისუფლებამ რუსული ჯარის დისკრედიტაცია სცადა," -ნათქვამია განცხადებაში.

რუსული მხარე აპირებს, საერთაშორისო სასამართლოს მიმართოს. საგამოძიებო კომიტეტში მიიჩნევენ, რომ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ საქმე რუს სამშვიდობოებზე და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებზე თავდასხმისთვის უნდა აღიძრას.

2008 წლის აგვისტოში რუსული ინტერვენციის შედეგად დაიღუპა საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო პირი, 14 პოლიციელი, დაკარგულად მიიჩნევა 8 ჯარისკაცი. სახლები დატოვა თითქმის 150 ათასმა ადამიანმა - მათგან 30 ათასამდე ადამიანი დღემდე დევნილობაში რჩება.

გია თორთლაძე არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს

"საქართველოს დემოკრატიული პარტიის" ლიდერი გია თორთლაძე საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს და "დეოკუპაციის ცენტრს" უხელმძღვანელებს.

როგორც გია თორთლაძემ გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, "დემოკრატიული პარტია" არაკვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტია, მას შესაბამისი ფინანსები არა აქვს და ამიტომ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობაზე უარს ამბობს.

მისი თქმით, პოლიტიკური პარტია საქმიანობას არ წყვეტს, უბრალოდ, დროებითი ტაიმაუტი აქვს. გია თორთლაძემ მხარდამჭერებს საპარლამენტო არჩევნებზე ყველა პარტიის მხარდაჭერა სთხოვა, გარდა ბიძინა ივანიშვილის კოალიციისა.

"ქართული ოცნება იმართება რუსეთიდან და ეს მიუღებელია," - განაცხადა პოლიტიკოსმა.

მისივე თქმით, აქტიურად იმუშავებს "დეოკუპაციის ცენტრში", რომლის მიზანია, უზრუნველყოს მოსახლეობის ინფორმირებულობა რუსული ოკუპაციის შესახებ.

საქართველო სირიის წინააღმდეგ სანქციას შეუერთდა

საქართველო, რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, გუშინ სირიის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციას შეუერთდა. ამის შესახებ განცხადება ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

ევროკავშირის წევრი 27 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 23 ივლისს მიიღეს გადაწყვეტილება, სირიისთვის შეირაღების მიწოდების კუთხით ემბარგო დაეწესებინათ. შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირი შეამოწმებს იმ გემებსა და საჰაერო ხომალდებს, რომლებიც ეჭვმიტანილები იქნებიან სირიისთვის იარაღის მინოდებაში.

სანქციის მე-17 მუხლით, სირიელი ფიზიკური და იურიდიული პირების დიდ წრეს ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა ეკრძალებათ და მათი აქტივები ევროპაში გაიყინება. "შავ სიაში" სირიის 52 კომპანია და 155 მოქალაქე მოხვდა.

საქართველოს გარდა, აღნიშნულ სანქციას გუშინ მხარი დაუჭირეს ხორვატიამ, მაკედონიამ, ჩერნოგორიამ, ისლანდიამ, სერბეთმა, ალბანეთმა, ლიხტენშტეინმა, ნორვეგიამ და მოლდავეთმა.

ევროკომისარმა უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ქეთრინ ეშტონმა საქართველოსა და დანარჩენ ქვეყნებს, რომლებიც ამ სანქციას შეუერთდნენ, მადლობა გადაუხადა.

კახა კუკავა NDI-ს სადამკვირვებლო მისიის წევრებს შეხვდა

"თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა NDI-ს გრძელვადიანი სადამკვირვებლო მისიის წევრებს შეხვდა. "ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, შეხვედრა "თავისუფალი საქართველოს" ოფისში გაიმართა და მასზე განსახილველი მთავარი თემა საქართველოში არსებული საარჩევნო გარემო და პოლიტიკური ვითარება იყო.

"პარტიის თავმჯდომარემ NDI-ს წარმომადგენლებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა საარჩევნო გარემოს კუთხით არსებულ პრობლემებზე, მედიის თავისუფლების დაბალ ხარისხსა და პარტიების დაფინანსების შესახებ არსებულ წესებზე. კახა კუკავამ ვრცლად ისაუბრა პოლიტიკურ რეპრესიებზე, რომლებსაც ხელისუფლება რეალური ოპოზიციის წინააღმდეგ ახორციელებს," - აცხადებენ პარტიაში.

მათივე ცნობით, სამუშაო ფორმატში მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაიმართება.

"ლეიბორისტების" განცხადებით, ხელისუფლებამ ქვეყანა ამერიკისა და რუსეთის კოლონიად აქცია

"ლეიბორისტული პარტიის" განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყანა ორი გეოპოლიტიკური ვეშაპის - ამერიკისა და რუსეთის სათარეშო კოლონიურ არეალად აქცია. ამის შესახებ გუშინდელ პრესკონფერენციაზე პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა და აღნიშნა, რომ ეს იმპერიები არა მარტო საქართველოს სისხლის ხარჯზე იკმაყოფილებენ სტრატეგიულ ინტერესებს, არამედ ქვეყნის დასაშლელად გარიგების მიღწევასაც ახერხებენ.

"ამის მაგალითია რუსეთის ფედერაციაში ამერიკის საელჩოსა და საკონსულოს მიერ ვიზების, პრაქტიკულად, თავისუფალი გაცემა აფხაზეთისა თუ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაზე. საფუძვლად კი, თურმე, სახელმწიფო დეპარტამენტის ინსტრუქციაა მითითებული. ჩვენ ვგმობთ ამგვარ პრეცედენტს, რომელიც, ფაქტობრივად, აკანონებს აფხაზეთისა და ცხინვალის საქართველოდან გამოყოფას, ამჯერად უკვე სააკაშვილის მეგობარი ვაშინგტონის მხრიდანაც, და პროტესტს ვუცხადებთ შეერთებული შტატების მთავრობას," - აღნიშნა გუგავამ.

საფრანგეთის ქართველთა სათვისტომოს მოწოდება საერთაშორისო ორგანიზაციებს

საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა სათვისტომო ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას სთხოვს, მოახდინონ ზეწოლა რუსეთზე, რათა გაუქმდეს რუსული ჯარის სამხედრო მანევრები კავკასიაში. ამის შესახებ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ სათვისტომოთა თავმჯდომარის ოთარ ზურაბიშვილის განცხადებაშია ნათქვამი.

საფრანგეთის ქართველთა სათვისტომო მოითხოვს, დაცული იყოს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვონ.

საფრანგეთის ქართველთა ასოციაცია ყველა ქართველს, მათ მეგობრებსა და საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ ქართველთა სათვისტომოებს მოუწოდებს, მზად იყვნენ საქართველოს დასაცავად.

"2008 წლის 7 აგვისტოს, მაშინ როცა პეკინში ოლიმპიური შეჯიბრებები მიმდინარეობდა, რუსული არმია საქართველოში შემოიჭრა. რუსეთის ხელისუფლება საქართველოს პროდასავლური და ევროატლანტიკური არჩევანისთვის სჯიდა ომით, რომელშიც დაიღუპა ასობით ადამიანი, 300 000 დევნილად იქცა, საქართველოს ტერიტორიის მეოთხედი ოკუპირებულ იქნა. 2012 წლის აგვისტოში, როცა ლონდონში ოლიმპიური თამაშები მიმდინარეობს, რუსეთის ხელისუფლება ეთნიკურ წმენდას აძლიერებს, კრძალავს რა დევნილი მოსახლეობის მშობლიურ მხარეში დაბრუნებას; რუსეთის ჯარი ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ახალაშენებულ სამხედრო ბაზებში განლაგდა; ოკუპაცია ახლა ანექსიის სახეს იღებს. მაშინ, როცა საქართველო კვლავ ადასტურებს თავის სწრაფვას დემოკრატიისკენ და 1-ელი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება, 10 დღით ადრე რუსეთის არმია წარმოუდგენლად ფართო მასშტაბის სამხედრო წვრთნებს გეგმავს," - ნათქვამია საფრანგეთში ქართველთა სათვისტომოს განცხადებაში.

ეგვიპტის ბლოკპოსტებს ისევ თავს დაესხნენ

სინას ნახევარკუნძულზე, ქალაქებს რაფაჰსა და ელ-არიშს შორის მდებარე სამ ბლოკპოსტს ექსტრემისტები ერთდროულად დაესხნენ თავს. ელ-არიში სულ 50 კილომეტრზე მდებარეობს საზღვრიდან, რომელიც ეგვიპტეს ღაზას სექტორისგან ყოფს. წინა თავდასხმა სასაზღვრო პუნქტზე რაფაჰთან კვირას მოხდა და მას 16 სამხედრო პირი და პოლიციელი შეეწირა. გაანადგურეს თავდამსხმელთა ნაწილიც (ამის შესახებ უკვე წერდა "24 საათი"). როგორც ჩანს, გუშინ ეგვიპტელი სამხედროები გაცილებით ფხიზლად იყვნენ და მათ შორის მსხვერპლი არ ყოფილა. დამნაშავეთა დევნისას ეგვიპტელებმა ვერტმფრენებიც გამოიყენეს და სავარაუდო თავდამსხმელთა ჯგუფი 20 კაცის შემადგენლობით ჰაერი-მიწა ტიპის რაკეტით გაანადგურეს. სარაკეტო დარტყმა ეგვიპტემ სინას ნახევარკუნძულზე პირველად განახორციელა 1973 წლის ანუ ეგვიპტე-ისრაელის ომის შემდეგ. კემპ-დევიდის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, სინას ნახევარკუნძულზე ეგვიპტეს მძიმე შეიარაღება და დიდი სამხედრო შენაერთები არ უნდა შეეყვანა, თუმცა არაბული გაზაფხულის შემდეგ იქ სიტუაციის კონტროლი გართულდა და სინას ნახევარკუნძულზე ეგვიპტის სამხედრო შენაერთები გამოჩნდნენ. ჯერ ზუსტად ცნობილი არ არის, რომელი დაჯგუფება დგას ბოლო დღეების თავდასხმების უკან. დასახელდა "ალ-ჯიჰადი" და "გამოსყიდვა და ჰიჯრა". თავდასხმები დაგმო თვით "ჰამასმაც". ზოგი ვერსიით, თავდამსხმელთა შორის არიან ღაზას სექტორიდან გადმოსული ექსტრემისტებიც. ეგვიპტელი სამხედროები ღაზის სექტორისკენ გამავალი გვირაბების გადაკეტვას ცდილობენ.

პაკისტანის პრემიერს სასამართლოში იბარებენ

პრემიერ-მინისტრი რაჯა პერვეზ აშრაფი პაკისტანის უმაღლეს სასამართლოში გამოიძახეს იმის გამო, რომ იგი მათ პრეზიდენტის წინააღმდეგ კორუფციული საქმის გამოძიებაში არ ეხმარება. აშრაფის წინამორბედმა ამ პოსტზე, იუსუფ რეზა გილანიმ თანამდებობა დატოვა ასევე უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილების გამო. სასამართლომ ის დამნაშავედ მიიჩნია სწორედ იმაში, რომ გილანიმ გამოძიებასთან თანამშრომლობაზე უარი თქვა. გილანისგან მოითხოვდნენ პრეზიდენტ ასიფ ალი ზარდარის ანგარიშების შესახებ მონაცემთა გადაცემას სასამართლოსთვის.

რომნის ვიცე-პრეზიდენტად პეტრეუსს "სთავაზობენ"

რამდენიმე დღის წინ ონლაინ გამოცემა "Drudge Report" წერდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორი, გენერალი დევიდ პეტრეუსი შეიძლება დასახელდეს ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატად რესპუბლიკური პარტიიდან. გამოცემის "ინფორმირებული წყაროს" თანახმად, მიტ რომნის და პეტრეუსს შორის უკვე შედგა საიდუმლო შეხვედრა. უფრო მეტიც, პეტრეუსის საარჩევნო კამპანიაში ჩართვის შესაძლებლობის შესახებ თითქოს დემოკრატების კანდიდატმა, პრეზიდენტმა ბარაკ ობამამაც ილაპარაკა საკუთარი კამპანიის სპონსორებთან შეხვედრაზე. მაგრამ თეთრმა სახლმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო. პრესმდივანმა ჯეი კერნიმ განაცხადა, რომ ასეთი ვარაუდი ბარაკ ობამას არასდროს არ შეეძლო გამოეთქვა. კომენტარი ამ თემაზე არც რომნის შტაბს და არც თვითონ პეტრეუსს გაუკეთებია.

პეტრეუსის კანდიდატურის წამოყენება პოლიტიკური წრეებისთვის მართლაც მოულოდნელობა იქნება. დევიდ პეტრეუსმა 37 წელი სამხედრო სამსახურში გაატარა. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორად ის ობამამ შარშან გაზაფხულზე დაასახელა. მანამდე პეტრეუსი ნატო-ს ჯარებს ხელმძღვანელობდა ავღანეთში, იქამდე კი ერაყში.

იყო ვარაუდი, რომ რომნის ვიცე-პრეზიდენტად შეიძლებოდა დაესახელებინა ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი, მაგრამ ამ უკანასკნელმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი თქვა. რომნის შტაბმა ადრე განაცხადა, რომ ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატს უახლოეს კვირებში დაასახელებს. პრინციპში, ეს მოსალოდნელია ნებისმიერ დროს რესპუბლიკელების ყრილობამდე, რომელიც აგვისტოს ბოლოს არის დანიშნული.

თვითონ ობამას ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატი დიდი ხანია შერჩეული ჰყავს. ის ისევ მოქმედ ვიცე-პრეზიდენტს, ჯო ბაიდენს ასახელებს.

კანარის კუნძულების უნიკალურ ფლორას ხანძარი ემუქრება

ტყის ხანძრებმა ესპანეთის ოკეანისგაღმა ტერიტორიებზე სასოფლო სამეურნეო ნარგავები უკვე ოთხ ათას ჰექტარზე გაანადგურა. ხანძარი შეეხო აგრეთვე ეროვნული პარკის "გარაჰონაის" ნაწილს კუნძულ ლა ჰომერაზე. ეს პარკი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შედის. გარაჰონაიში ასობით სახეობა ხარობს, რომელთაგან ზოგი უნიკალურია. იქ რამდენიმე სახლი დაინვა, მოსახლეობის ნაწილი ევაკუირებულია. მეხანძრეებმა გუშინ განაცხადეს, რომ ცეცხლის გავრცელება შეაჩერეს. ცეცხლი, მათი აზრით, შეიძლება შეგნებულადაც გააჩინეს. ნათესების ათასობით ჰექტარი განადგურდა მეზობელ კუნძულ ლა პალმაზეც.

წყალდიდობას მანილაში 16 კაცი შეეწირა

ფილიპინების დედაქალაქის ნახევარზე ცოტა მეტი ბოლო დღეებში წყალმა დაფარა და კოკისპირული წვიმები ისევ გრძელდება. ამის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით, მაგრამ გუშინწინ საღამოსთვის არ იყო მონაცემები დაღუპულთა შესახებ. გუშინ გაირკვა, რომ წყალდიდობას, სულ ცოტა, 16 ადამიანი შეეწირა, 80 ათას კაცზე მეტი კი თავს დროებით საცხოვრებელს აფარებს.

მოამზადა ივა შილაკაძემ

იანუკოვიჩმა "ენის კანონის" საფუძვლიანად შეცვლა მოითხოვა

პირველი გვერდიდან

ამ შეხვედრის დროს იანუკოვიჩმა მინისტრთა კაბინეტს დაავალა სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება, რომელსაც უკრაინული ენის განვითარების პროგრამის შემუშავება დაევალება. გერმანის განცხადებით, ამავდროულად, ხელისუფლებას დავალებული აქვს შექმნას სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ზემოთ აღნიშნული პროგრამის განხორციელებას დააკვირდება. "დადგა დრო, როდესაც ჩვენ უნდა მივიღოთ უკრაინული ენის განვითარების პროგრამა - ის მოხსნის ბევრ კითხვას, რომელიც ამჟამად არსებობს საზოგადოებაში," - განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა. მისი განცხადებით, ენის განვითარების ახალი პროგრამა ჰარმონიზებული უნდა იყოს სახელმწიფო ენობრივი საფუძვლების პოლიტიკის ახალ კანონთან. "მიმაჩნია, რომ ჩვენ უნდა შევქმნათ სამუშაო ჯგუფი, რომელიც უკრაინული ენის განვითარების პროგრამას მინისტრთა კაბინეტთან ერთად შეიმუშავებს," - განაცხადა შეხვედრაზე იანუკოვიჩმა.

პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილების შემდეგ "ენის კანონი აღარ ატარებს იმხელა საფრთხეს, რომელიც ადრე იყო," - განაცხადა გერმანმა. მისი განცხადებით, იანოკოვიჩმა გამოთქვა იმედი, რომ კანონისთვის ხელახალი კენჭისყრის დღე "უკრაინელი ხალხის გაერთიანების დღე" გახდება.

"პრეზიდენტი მიხვდა, ეს კანონპროექტი უკრაინელებისთვის რამდენად მნიშვნელოვან პრობლემას შექმნიდა," - განაცხადა შეხვედრის მონაწილემ, მწერალმა დიმიტრი სტუსმა. მისი განცხადებით, როგორ მოიქცევა პრეზიდენტი, მხოლოდ იურისტებთან კონსულტაციის შემდეგ გაირკვევა. შესაძლოა, მან კანონპროექტს უახლოეს მომავალში ხელი მოაწეროს, ხოლო სექტემბერში მასში ძირითადი ცვლილებები შეიტანონ; ან არსებობს მეორე შესაძლებლობაც, რომ ის სექტემბერში, უკვე შეცვლილ კანონპროექტს მოაწერს ხელს.

ცნობილი გახდა, რომ შესაძლოა სამუშაო ჯგუფში, რომელიც კანონპროექტში შესატან ცვლილებებზე იმუშავებს, შევიდნენ რეგიონების პარტიის წევრები ვადიმ კოლესნიჩენკო და სერგეი კივალოვი, როგორც ავტორები კანონპროექტისა "სახელმწიფოს ენობრივი პოლიტიკის საფუძვლების შესახებ."

თავად დეპუტატი კოლესნიჩენკო მიჩნევს, რომ პრეზიდენტი კანონპროექტს ხელს უახლოეს მომავალში მოაწერს. მისი მტკიცებით, პრეზიდენტმა ექსპერტების ჯგუფს კანონპროექტის შესწავლა მხოლოდ იმისთვის დაავალა, რომ იგი შეესაბამებოდეს კონსტიტუციას, ადამიანის უფლებებს და ევროპულ ვალდებულებებს. მისი განცხადებით, ცვლილებები შეეხება არა კანონის არსს, არამედ მის იურიდიულ მხარეებს და კანონის შემოღების პირობებს.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, იანუკოვიჩი ამ კანონპროექტს ვეტოს ადებს იმისთვის, რომ მოიპოვოს ხმების დამატებითი რაოდენობა თავისი პარტიისთვის საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელიც შემოდგომაზე ჩატარდება. ცოტა ხნით ადრე გერმანმა განაცხადა, რომ იანუკოვიჩმა დაკარგა თავისი ძირითადი კოზირი - "ენის კანონით" მანიპულირების შესაძლებლობა, როდესაც მას ხელი პარლამენტის თავმჯდომარემ ვლადიმერ ლიტვინმა მოაწერა.

უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა კრავჩუკმა განაცხადა, რომ უკრაინის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, სახელმწიფო ენის განვითარების პროგრამა არაერთხელ დამდგარა დღის წესრიგში, მაგრამ ის მიღებული არ იქნა რადგან, გარდა პოლიტიკური ნებისა, უნდა არსებობდეს ფინანსური სახსრებიც, დღეს კი პრეზიდენტს გადაწყვეტილი აქვს, მოაგვაროს ეს საკითხი.

"უკრაინის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას აშფოთებს უკრაინული ენის, როგორც უკრაინის სახელმწიფო ენის, მდგომარეობა და ამიტომაც მას აქვს სერიოზული ფუნდამენტალური წინააღმდეგობები სახელმწიფო ენის საფუძვლების პოლიტიკასთან, რომელიც უმაღლესმა რადამ მიიღო," - განაცხადა ლიტერატურათმცოდნემ და ამჟამად პრეზიდენტის მრჩეველმა ნიკოლაი ჟულისკიმ. მან განაცხადა, რომ შეიქმნება სამუშაო ჯგიუფი, რომელიც კანონის სრულყოფისთვის იმუშავებს. "მე ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია, და ვხედავ, რომ პრეზიდენტი ამას მხარს უჭერს. იმ მზად არის შეხვდეს ფრაქციების ლიდერებეს, თავად იმუშაოს სამუშაო ჯგუფთან ერთად და მათ გადაწყვეტილების კოლექტიურად შემუშავება შესთავაზოს," - განაცხადა მან. მანვე დასძინა, რომ აუცილებელია კანონი სერიოზულად გადამუშავდეს.

ცოტა ხანში გამოჩნდება, ეს ჩვეულებრივი წინასაარჩევნო მანევრია თუ იანუკოვიჩი მართლა რამეს მიხვდა.

P.S. გუშინ, გვიან საღამოს, იანუკოვიჩმა კანონს ხელი მაინც მოაწერა.

ერთმანეთში არეული სიცრუე და რეალობა სირიაში

ხათუნა გაბიევი

სირიის ქალაქ ალეპოში შეტაკებები ისევ გრძელდება. რეგულარული არმიისა და ამბოხებულების დაპირისპირების შესახებ ცნობებს ავრცელებენ როგორც ოპოზიციური წრის წარმომადგენლები, ასევე სამთავრობო საინფორმაციო წყაროები. მხოლოდ გასული დღე-ღამის განმავლობაში ალეპოში, დაახლოებით, 100 ადამიანი დაიღუპა.

შექმნილი მდგომარეობის გამო შეშფოთებას ვერ მალავენ ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები. "ამნისტი ინტერნეშენალმა" თანამგზავრით გადაღებული ფოტოებიც გაავრცელა, სადაც ალეპოს დაბომბვაა აღბეჭდილი. ყვითელი ფერის წერტილებად აღნიშნული აფეთქებების რიცხვი 600-ს აღწევს. როგორც ფოტომასალიდან ირკვევა, პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის არმია ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მძიმე ტექნიკას იყენებს. ადამიანის უფლებათა დამცველების განცხადებით, საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულ მშვიდობიან მცხოვრებლებზე პასუხისგება როგორც სირიის სამთავრობო არმიის წარმომადგენლებს, ასევე ამბოხებულებს მოუწევთ. ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის განცხადებაზე ოფიციალური კომენტარი ჯერ არც ასადის რეჟიმს გაუკეთებია და არც ამბოხებულებს.

შეტაკებების პარალელურად, გავრცელდა ასევე ინფორმაცია საბრძოლო მოქმედებებში რუსი გენერლის ვლადიმირ კუჟეევის დაღუპვაზეც. ამბოხებულების მიერ "youtube"-ით გავრცელებული ვიდეომიმართვა მალევე მოხვდა ტელეკომპანია "ალ-არაბიას" ეთერშიც. ცნობების თანახმად, არა მატო რუსი გენერალი, არამედ მისი თარჯიმანიც გარდაცვლილი იყო. ვიდეომასალას თან დართული ჰქონდა მოკლულის საბუთები და, "სირიის თავისუფალი არმიის" წარმომადგენელთა მტკიცებით, გენერლის საიდუმლო რუკები და დოკუმენტები. გავრცელებული ცნობებით, გენერალი კუჟეევი სირიის თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის მრჩეველი იყო. ამით მეამბოხეებს სირიის საშინაო საქმეებში რუსეთის ჩართულობის ხაზგასმა სურდათ.

თუმცა, ცნობები რომ უბრალო სატყუარა აღმოჩნდა, მალევე გამომჟღავნდა. კომენტარი რუსულ ტელეარხებზე თავად გენერალმაც გააკეთა. **"მედიის მადლობელი ვარ, ჩემი მოკრძალებული პერსონის მიმართ ასეთი ყურადღება რომ გამოიჩინა. ადამიანური თვალსაზრისით, ჩემთვის ფრიად უსიამოვნო იყო სირიაში თითქოს ჩემი გარდაცვალების შესახებ გავრცელებული ცნობა. ძალიან შემაწუხა იმანაც, რომ ამ ცნობებმა ააფორიაქა ჩემი ახლობლები, მეგობრები და უბრალოდ ნაცნობები. დღეს მთელი დღე ჩემს ტელეფონზე ზარები არ წყდება,"** - განაცხადა გენერალ-მაიორმა ვლადიმირ კუჟეევმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ანალოგიური გვარის მქონე ოფიცერი წარსულში მართლაც მსახურობდა სირიაში, მაგრამ იგი უკვე დიდი ხანია პენსიაზე გავიდა.

პარალელურად კი ვრცელდება ცნობები პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მხარდაჭერაზე ირანის მხრიდან. დამასკოში მიმდინარე მოლაპარაკებებზე ისლამური რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელმა საიდ ჯალილიმ განაცხადა, რომ სირია მნიშვნელოვანი რეგიონული ალიანსის წევრია, რომლის დაქუცმაცებასაც ოფიციალური თეირანი არ დაუშვებს. ალიანსში, სახელწოდებით "წინააღმდეგობის ღერძი", ირანთან და სირიასთან ერთად გაერთიანებულია ასევე ლიბანური "ჰეზბოლა" და ღაზას სექტორში მოქმედი "ჰამასი". ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ, ამავდროულად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თხოვნითაც მიმართა - დაეხმარონ სირიაში მძევლების გათავისუფლებაში. გენერალური მდივნის ბან კი მუნის სახელზე მიმართვა ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალი აკბარ სალეჰიმ მოამზადა.

48 ირანელი მძევლად სირიელმა ამბოხებულებმა მაშინ აიყვანეს, როდესაც ისინი ავტობუსით გადაადგილდებოდნენ. სირიის ოპოზიციურმა ძალებმა მათ ბრალი ჯაშუშობაში დასდეს. ოფიციალური თეირანი კი ირწმუნება, რომ დაკავებულები მომლოცველები არიან, რომელთა მიზანიც შიიტური სიწმინდეების მონახულება იყო. თუმცა ოფიციალურ თეირანს იმის აღიარება მაინც მოუწია, რომ მომლოცველებს შორის არიან "ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის" - ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომლები. ისე, გამოთქმა "სპეცსამსახურის ყოფილი თანამშრომელი" ყველა ქვეყანაში ცოტა საეჭვოდ გამოიყურება, თუ საქმე ღრმად მოხუცებულ ადამიანებთან არ გვაქვს.

დიდი ეკრანიდან ჩაკ ნორისი შემოგვხედავს

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"დაუმორჩილებლები"

"ტედი" სეტ მაკფარლეინის სარეჟისორო დებიუტი გახლავთ. ამ ადამიანის სახელი აუცილებლად ცნობილია მათთვის, ვინც კარგად იცნობს ამერიკულ ანიმაციურ სერიალებს, რადგან ის სერიალ "მეოჯახეს" (Family Guy) შემქმნელი გახლავთ. თუ ამ სერიალს თვალს ადევნებთ, შენიშნავდით, რომ ის საკმაოდ უხამსი, ზოგჯერ ძალიან ამერიკული იუმორითაა გაჯერებული და ასეთი გახლავთ "ტედიც", რაც უკვე ნიშნავს, რომ მაყურებელს წინ საკმაოდ მხიარული გასართობი ელის. ამას ადასტურებს კინოკრიტიკოსთა შეფასებებიც, რომლებიც საერთო ჯამში მაკფარლეინის დებიუტს 70%-იან ქულას უწერენ, რაც კომედიისთვს ანუ არაბლოკბასტერი ფილმისთვის საკმაოდ კარგი შედეგია.

სეტ მაკფარლეინმა მხიარულთან ერთად მართლაც უცნაური ისტორია შექმნა, რაც აუცილებლად მოგაგონებთ საკულტო "მაპეტ შოუს" შესახებ გადაღებულ ფილმ "მაპეტებს". ანუ "ტედიშიც" რეალურად უსულო ნივთი, სათამაშო დათუნია არა მხოლოდ ლაპარაკობს, დადის და პისუარს ხმარობს, არამედ ჩვენი საზოგადოების რიგითი წევრია, ჩვეულებრივი ადამიანების მსგავსად გადის გასაუბრებას სამსახურის მისაღებად და ჩვეულებრივი მამაკაცების მსგავსად ეკურკურება თანამშრომელ გოგონებს. მოკლედ, ტედი ნამდვილი მამაკაცია და რადიკალურად განსხვავდება იმ სევდიანი "კოლეგისგან", რომელიც წლების წინ სტივენ სპილბერგმა გაგვაცნო თავის "ხელოვნურ ინტელექტში". სპილბერგთან დათუნია ტედი ნამდვილი ანგელოზია, რომელიც არა მხოლოდ რობოტად "დაბადებული" ბიჭუნას ერთადერთი და ნამდვილი მეგობარია, არამედ თავად შეუძლია, გამორღვეული გვერდი ამოიკეროს და საკუთარი პრობლემებით არ დაგამძიმოს. "ტედის" ტედი კი ნამდვილი სასჯელია, ფეხსაცმლის ქუსლიდან ამოჩრილი ლურსმანია, ეგოიზმით შეპყრობილი პლუშის ვირუსია, რომელსაც საკუთარი თავის გარდა არავინ ადარდებს. თუმცა ეს ხომ კომედიაა, რაც ნიშნავს, რომ საბოლოოდ ყველაფერი კარგად და მხიარულად მთავრდება, ყველა ბედნიერია, სიყვარული იმარჯვებს და დიდხანს და უდარდელად ცხოვრობენ...

სამაგიეროდ, არავინ იცის, როგორ დასრულდება წლის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოლოდინის მქონე ფილმი, რომლის გამოსვლაც ჩვენთან მსოფლიო გაქირავების პარალელურად, აგვისტოს ბოლოს იგეგმება. ეს გახლავთ საიმონ უესტის "დაუმორჩილებლები 2", რომელიც იმაზე მეტ სიგიჟეს გვპირდება, ვიდრე მის პირველ ნაწილში ვიხილეთ. სხვა თუ არაფერი, პროექტის ავტორმა სილვესტერ სტალონემ გადაღებებზე თვით ჩაკ ნორისიც კი დაითანხმა, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ვერავინ მოახერხა. მეორე "დაუმორჩილებლები" ნამდვილი ოაზისია მათვის, ვისაც ნამდვილი ექშენ მუვის სიყვარული 80-90-იანი წლებიდან აქვს გამოყოლილი, რადგან აქ პრაქტიკულად ყველა საყვარელ მსახიობს შეხვდება: თავად სტალონეს, უკვე ნახსენებ ჩაკ ნორისს, არნოლდ შვარცნეგერს, ჯეტ ლის, დოლფ ლუნდგრენს, ჟან კლოდ ვან დამს, ბრუს უილისსა და ჯეისონ სტეტჰემს. მოკლედ, ჰოლივუდის ყველა მაგარი ბიჭი აქაა შეკრებილი და თუ გინდათ, ნამდვილი სისხლი დაინახოთ, ოფლის სუნი შეიგრძნოთ და, რაც მთავარია, დიდი ეკრანიდან თვით ჩაკ ნორისმა შემოგხედოთ, მაშინ ამ ფილმის გამოტოვება არაფრით შეიძლება.

ბოლოს კი აგვისტოს დანარჩენი ფილმების შესახებაც გეტყვით, რომელთა გამოსვლის ზუსტი თარიღი ჯერჯერობით დაუდგენელია: რამდენიმე დღეში გამოვა "პირანია 3D", რომლის ნახვისგანაც თავის შეკავებას გირჩევთ, თუ ზაფხულში ზღვაზე აპირებთ დასვენებას. სამაგიეროდ, არაფერს "დაგიშავებთ" კომედია "ყარაული" ბენ სტილერით, ვინს ვონითა და ჯონა ჰილით მთავარ როლებში, ხოლო აგვისტოს აფიშაში ჩასმული კიდევ ერთი ფილმის, Box Office 3D-ის შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით - უბრალოდ, გამოდის...

კიდმანისა და ტრიერის მორიგი კინოქორწინება

ᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ

მართალია, უკვე მეორე წელია, რაც ცნობილი დანიელი რეჟისორი ლარს ფონ ტრიერი კანის კინოფესტივალის მიერ პერსონა ნონ გრატად არის გამოცხადებული, რასაც მის მიმართ საზოგადოების გარკვეული ნაწილის აგრესიაც ემატება, ის თავის შემოქმედებასთან ერთად მაინც იქცევს ყურადღებას და განხილვის მიზეზიც ხდება. რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ ტრიერი თავის ყოფილ მუზა ნიკოლ კიდმანს უბრუნდება და მასთან ერთად მორიგი სკანდალური პროექტის გადაღებას გეგმავს.

ფილმი სახელწოდებით "ნიმფომანიაკი" (და ეს სახელწოდება უკვე იძლევა გარანტიას, რომ წინ მორიგი კინოპროვოკაცია გველის) ჯერჯერობით პროექტის დონეზეა და გადაღებებიც არ დაწყებულა, თუმცა გარკვეული ინფორმაცია უკვე არსებობს. მაგალითად, ის, რომ კიდმანის პარტნიორები უილიამ დეფო, შარლოტა გინზბურგი და სტელან სკარგარდი იქნებიან. ამ მსახიობებთან ლარს ფონ ტრიერს აქამდეც უმუშავია: უილიამ დეფო გინზბურგთან ერთად მის "ანტიქრისტეში" თამაშობდა, ხოლო გინბურგი და სკარსგარდი "მელანქოლიაში" შეხვდნენ ერთმანეთს (სკარსგარდი ტრიერის ადრინდელ ფილმებშიც თამაშობდა).

უკვე ცნობილია ისიც, რომ "ნიმფომანიაკი" ორნაწილიანი იქნება და, ამავდროულად, მათი ორ-ორი ვერსია გამოვა - ერთი ფართო გაქირავებისთვის ანუ ცენზურით შემცირებული და საავტორო ვერსია, რომელიც გაცილებით თამამი და, თუ ლარს ფონ ტრიერის ფაქტორს გავითვალისწინებთ, ოდნავ აღვირახსნილიც იქნება. როგორც ჩანს, ტრიერს აღარ სურს დამატებითი სკანდალები და საზოგადოების ზედმეტად გაღიზიანება, ამიტომ საკუთარ თავს თავადვე უკეთებს ცენზურას.

"ნიმფომანიაკის" სიუჟეტის შესახებ არც ისე ბევრია ცნობილი (სცენარი თავად ტრიერს ეკუთვნის): უილიამ დეფოს მარტოხელა პერსონაჟი ქუჩაში შარლოტა გინზბურგის გმირს გაიცნობს, შინ წაიყვანს და მისი სექსუალური ცხოვრების დეტალებს ისმენს. როგორც ჩანს, ნიკოლ კიდმანი სწორედ დეფოს გმირის ფანტაზიებში გაცოცხლდება და იქვე სტელან სკარსგარდიც გაიელვებს. სხვათა შორის, როდესაც ამ უკანასკნელის ტრიერთან მორიგი თანამშრომლობის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, იქვე ისიც ითქვა, რომ რეჟისორი პორნოფილმის პროექტზე მუშაობდა, თუმცა თავად სკარსგარდს ინტიმურ სცენებში მონაწილეობა არ მოუწევდა.

ფილმის გადაღების დაწყებას ლარს ფონ ტრიერი უახლოეს პერიოდში აპირებს, პირველი ნაწილი კი ეკრანებზე 2013 წლის გაზაფხულზე იგეგმება. დაზუსტებით სწორედ მაშინ გავიგებთ, რას გვიმზადებს დანიელი რეჟისორი და გავიგებთ იმასაც, დაბრუნებენ თუ არა ა კლასის ფესტივალები მის კინოს საკუთარ წიაღში.

პარალელურად, ნიკოლ კიდმანი მუშაობას იწყებს მონაკოს პრინცესა გრეის კელის ბიოპიკზე, რომლის ავტორიც ფრანგი რეჟისორი ოლივიე დაჰანია. შეგახსენებთ, რომ სწორედ მისი გადაღებულია 2007 წლის შესანიშნავი "ცხოვრება ვარდისფერში" ედიტ პიაფის შესახებ, რომლის როლის შემსრულებელმა მარიონ კოტიარმაც "ოსკარი" მიიღო, თავად ფილმი კი გაქირავების ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ამრიგად, ოლივიე დაჰანს კარგად გამოსდის ბიოგრაფიული ჟანრის ფილმები და იმედია, პრინცესა გრეისის შესახებაც ღირსეულ ნამუშევარს შემოგვთავაზებს.

9 აგვისტო

კინო

"ტედი"
რეჟისორი: სეთ მაკფარლეინი
როლებში: მარკ უოლბერგი, მილა კუნისი, სეთ მაკფარლეინი, ჯოელ მაკჰეილი, ჯოვანი რიბიზი, პატრიკ ბარბერტონი
ჟანრი: კომედია, ფანტასტიკა
ხანგრძლივობა: 106 წთ
ამირანი - 13.15; 15.25; 17.35; 19.45;
რუსთაველი - 15.15; 17.30; 20.00; 22.30;

"ბეთმენი: შავი რაინდის აღზევება"

რეჟისორი: კრისტოფერ ნოლანი
როლებში: კრისტიან ბეილი, ტომ ჰარდი, ლიამ ნისონი, მორგან ფრიმანი
ჟანრი: მძაფრსიუჟეტიანი დრამა
ხანგრძლივობა: 165 წთ
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.30; 15.45; 19.30; 22.45
რუსთაველი - 12.00; 15.15; 19.00; 22.30

"ციდან სამ მეტრზე"

რეჟისორი: ფერნანდო გონსალეს მოლინა
როლებში: მარიო კასასი, მარია ვალვერდე, კლარა ლაგო, ალვარო სერვანტესი, ანდრეა დურო, ლუის ფერნანდესი
გახმოვანება: რუსული
რუსთაველი - 12.00; 22.54

"ადამიანი ობობა 3" - D3

რეჟისორი: მარკ უები
როლებში: ენდრიუ გარფილდი, ემა სტოუნი, რის ივანსი,
ემბეტ დევიდჩი, მარტინ შინი, სალი ფილდი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 12.15
რუსთაველი - 14.00; 17.15

"ფიფქია და მონადირე"

რეჟისორი: რუპერტ სანდერსი
როლებში: კრისტენ სტიუარტი, კრის ჰემსუორტი, შარლიზ ტერონი, სემ კლაფლინი, სემ სპრუელი, იან მაკშეინი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.45
რუსთაველი - 15.00; 20.00; 22.30

"რომის არდადეგები"
რეჟისორი: ვუდი ალენი
როლებში: ვუდი ალენი, პენელოპა კრუსი, ჯესი აიზენერგი, ალეკ ბოლდუინი, რობერტო ბენინი, ფლავიო პარენტი, ჯუდი დევისი
გახმოვანება: რუსული
ამირანი - 15.00; 20.15; 22.45

გალერეა

თიბისი გალერეა
მამია მალაზონიას პერსონალური გამოფენა

ეროვნული გალერეა

"პეტრე ოცხელი - რეტროსპექტივა"
გამოფენა ეძღვნება პეტრე ოცხელის დაბადებიდან 105 წლის იუბილეს

europe-bet.com

"ლონდონი 2012"-ს წარმოგიდგენთ

რომან რურუა: "სადაა კისრული, "ვერტუშკა?"

პირველი გვერდიდან

- ბატონო რომან, მართლა არ წაგიგიათ საერთაშორისო არენაზე, თუ ეს მითია?

- არ წამიგია. ერთადერთხელ, ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე, მეორე ადგილი დავიკავე, მაგრამ შეხვედრა ფრედ დასრულდა და მსაჯებმა მეტოქეს მიანიჭეს გამარჯვება. ასე რომ, ერთი ფრე და დანარჩენი მოგებები მაქვს.

- ერთი როკი მარჩიანო იყო კრივში დაუმარცხებელი და მეორე თქვენ ჭიდაობაში.

- არა, საქართველოში კი წამიგია, მაგრამ იქაც მომატყუეს (იცინის). მე ვამბობ, საერთაშორისო არენაზე არ წამიგია-მეთქი. ორგანიზმი მქონდა ყოველთვის ისეთი, დაღლას ვერ ვგრძნობდი. ახლაც ასე ვარ. რას ჰქვია დავიღალე? ეს სიტყვა ჩემს ლექსიკონში არ არსებობს.

- თქვენ დროს, ალბათ, ვარჯიშებიც განსაკუთრებული იყო და სავარჯიშო ატრიბუტიკაც.

- არა, რას ამბობ, რის ატრიბუტიკა. ერთი შტანგა იყო დარბაზში და რიგრიგობით ვწევდით. ხანდახან გავდიოდით ეზოში. დიდი ქვები ეყარა, ვიღებდით იმ ქვებს და იმით ვაკეთებდით "ვერტუშკას." სად იყო ატრიბუტიკა, მაგრამ ყოველთვის მგელივით ვიყავი.

- ალბათ, კვება გქონდათ კარგი.

- ვარჯიშის შემდეგ გამოვიდოდი, იქვე პატარა კაფე იყო, ქიშმიშიანი ფუნთუშები იყიდებოდა. მანეთი ღირდა. იმას ვჭამდი ჩაისთან ერთად და მთელი დღე ასე ვიყავი. ორგანიზმი მქონდა ძლიერი, სოფელში გაკაჟებული. სოფლიდან რომ ჩამომიყვანეს, სულ მივყარ-მოვყარე ეს რძეზე გაზრდილი ბიჭები.

- თბილისში გადმოსვლამდე სოფელში ვარჯიშობდით?

- სოფელში ყველაფერი ვარჯიში არ არის? ის შრომაც, ის მდინარეზე ბანაობაც, ყველაფერი გაკაჟებს.

- იქ სპორტული სკოლა თავისი ინფრასტრუქტურით არ არსებობდა?

- არა, ინფრასტრუქტურა სად იყო. ჩემით ვვარჯიშობდი. შტანგა მინდოდა ძალიან. სოფელში ვიღაცამ ჩამოიტანა. არ ეკარებოდა არავინ. მინდოდა მეყიდა, მაგრამ ფული არ მქონდა. დედაჩემის შეგროვებული კვერცხები მოვიპარე, გავყიდე და იმ ფულით ვიყიდე ის შტანგა. მოვკიდე ხელი და ძვრა ვერ ვუყავი. რაღა უნდა მექნა, ავტირდი, დამიბრუნეთ ჩემი ფული-მეთქი, მაგრამ ვინ რას დაგიბრუნებდა. მერე დავჭერი მორები, გავუყარე ხის ტარი, ლურსმნით დავაჭედე და იმით ვვარჯიშობდი.

ჭიდაობს მანუჩარ ცხადაია

- ასე კუსტარულად ემზადებოდით და ოლიმპიური თამაშები მოიგეთ. ახლა ამას ვერ შეძლებ.

- ახლა სხვა დროა. მოჭიდავეებს ყველაფერი აქვთ, მაგრამ ჭიდაობა გახდა ინერტული. ილეთები აღარ ტარდება. რაღაც ძიძგილაობას დაემსგავსა. ჩემ დროს ბევრად უფრო სანახაობრივი იყო. ილეთებს აღარ აკეთებენ. სამი დღეა ჭიდაობას ვუყურებ და მხოლოდ ერთი სუფთა გდება ვნახე. სადაა კისრული? სადაა "ვერტუშკა"? ჭიდაობა სუმოს დაამსგავსეს. ცდილობენ, მეტოქე ხალიჩის მიღმა გააგდონ და ამით აიღონ ქულები. ხანდახან ბრძოლა ისე მთავრდება, ერთ ილეთს არ აკეთებენ.

- როგორ ფიქრობთ, რატომ ხდება ასე?

- იმიტომ, რომ თითო პერიოდი მხოლოდ ორწუთიანია და ფალავნები აღარ რისკავენ, რადგან თუ არ გაუმართლებთ, მერე მდგომარეობის გამოსწორებისთვის დრო აღარ რჩება.

- ჩვენების გამოსვლაზე რას იტყვით?

- ორი მედალი მოვიგეთ. არ არის ცუდი შედეგი. ოქრო რომ აგველო, უკეთესი იქნებოდა. მთავარია ახლა ჩვენს ქვეყანაში ფიზიკური მომზადების საქმე განვავითაროთ. არც ერთ სფეროში ისე არ უჭირს საქართველოს, როგორც ფიზიკური აღზრდის საქმეში. ბავშვები ჩვრებივით არიან და მერე არც გონებრივი განვითარების და არც შრომის ხალისი აღარ აქვთ. ბავშვი რომ სკოლაში მივა, ერთი 50 მეტრი ხომ უნდა გაირბინოს და 3-4 აზიდვა მაინც ხომ უნდა გააკეთოს? მშობელი ბავშვის პირველი პედაგოგი უნდა იყოს. საერთოდ, ბავშვის ფიზიკური აღზრდის სისტემა სამ ეტაპად უნდა გაიწეროს და ამის მიხედვით უნდა სრულდებოდეს. დაბადებიდან სკოლამდე, სკოლის დამთავრებამდე და სკოლიდან უმაღლესამდე. ფიზიკური აღზრდის საქმე თავისი წონით, ვთქვათ, მათემატიკის სწავლას უნდა უტოლდებოდეს. მაშინ იქნება ჩვენი საქმე კარგად.

ჩვენ გვიცავს ბობი

გიგა გურასაშვილი
ლონდონიდან

გიგა გურასაშვილის ფოტო

ინგლისელი პოლიციელი ისეთივე სადარბაზო ბარათია ალბიონისთვის, როგორიც ბიგ ბენი, ორსართულიანი წითელი ავტობუსი თუ დედოფალი ელისაბედ მეორე.

ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის ქვეყნის ხელისუფლებამ მთელი ინგლისის მასშტაბით მალემსრბოლები აფრინა, ტურისტებს ვერ ავუდივართ, ჩამოდით, დაგვეხმარეთო. შეიძლება ითქვას, დღეს ს ლონდონში ინგლისის ყველა მხარიდანაა ჩამოსული ბობი, როგორც მათ აქ ეძახიან. რას აკეთებენ? დგანან მეტროს სადგურის, უფრო სწორად,ანდერგრაუნდის ბაქანზე თუ ოვერგრაუნდის შესასვლელებთან, ოლიმპიურ არენებთან, მის მისადგომებთან და,საერთოდ, იქ,სადაც ყველანაირი ხალხი ირევა. შეიძლება თვალში არც გეჩხირებიან, მაგრამ წამიერად შეუძლიათ ათეულით ან ოცეულით გამოჩნდნენ. მრავალფეროვან ლონდონში, სადაც მთელმა მსოფლიომ მოიყარა თავი, პოლიციელები არცთუ ბევრნი არიან.

უჩვეულო კი ისაა, რომ ბევრი სამართალდამცავი დღემდე ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე დადის, არსენალში კი მხოლოდ ხელკეტი და ბორკილები აქვთ. ყოველ შემთხვევაში, გარეგანი დათვალიერებით ბობების ერთი ნაწილი ასე გამოიყურება. მაგრამ არიან კბილებამდე შეიარაღებულნიც. არადა,ადრე ინგლისელები იმით ამაყობდნენ, რომ მათი პოლიცია არ ატარებდა ცეცხლსასროლ იარაღს, მაგრამ 2005 წლის ტერაქტებისშემდეგ, რომელიც, სხვათა შორის, ლონდონის ოლიმპიურ დედაქალაქად არჩევას მოჰყვა, რიგ ადგილებში შეიარაღებული პოლიციელები გამოჩნდნენ - გამოჩნდნენ ავტომატური იარაღით და პისტოლეტით. შეიარაღებულები დანარჩენი თანამშრომლებისგან ფორმითაც განსხვავდებიან. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათი ფუნქციაც განსხვავებულია თანამოძმეებისგან.

ლონდონის ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოებისთვის ქალაქის მერიამ ცენტრალურ უბნებში, განსაკუთრებით კი ოლიმპიურ პარკსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განათავსა პოლიეთილენის ურნები, რაც შიგ ჩაყრილ ნაგავს ხილულს ხდის.პოლიციამ და უსაფრთხოების სამსახურმა ნაგავიც უნდა აკონტროლოს და შესაძლო ტერაქტიც აღკვეთოს - გამჭვირვალე პოლიეთილენში საეჭვო ნივთი კარგად ჩანს.

კონტროლდება მოძრაობა,უფრო სწორად, უძრაობა. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, სულ მოძრაობაში უნდა იყო. თუ გაჩერდი, გეტყვიან: იმოძრავეთ!

მსგავს ვითარებაში არაერთხელ აღმოვჩნდი და ასეთი შენიშვნაც მივიღე, მაგრამ მათ შორის ერთი იყო განსაკუთრებული. "ექსელარენადან" გამოსულს, რომელიც მოჭიდავეთა, ძალოსანთა და მოკრივეთა ასპარეზობებს მასპინძლობს, დილის სეანსების დასრულების შემდეგ საღამოს სეანსებამდე ორი საათი რჩებოდა. ლონდონის ცენტრში გასვლას ვერ ვასწრებდი. ჰოდა, იქვე,ხის ძირში დგომა და გულშემატკივრებზე ნადირობა დავიწყე იმის იმედით, რომ ვინმე საინტერესოს გადავეყრებოდი და ფოტოსაც გადავუღებდი, მაგრამ დაახლოებით ხუთ წუთში ორი პოლიციელი ქალი და კაცი დამადგა თავზე, რასაც მოჰყვა დიალოგი:

- მოგწონთ ოლიმპიური თამაშები?

- დიახ.

- აქ რას აკეთებთ?

- ჟურნალისტი ვარ.

- საბუთი გაქვთ?

- თუ შეიძლება, ერთი წუთით მათხოვეთ, გადავამოწმებ (რაციით გადამოწმება დაახლოებით 7-8 წუთს გაგრძელდა.ამასობაში პოლიციელმა ქალბატონმა აქეთურ-იქითურზე გამიბა საუბარი).

- სხვა ოლიმპიურ თამაშებზე თუ ხართ ნამყოფი? - მეკითხება პოლიციელი ქალბატონი, რომელიც ჩინური წარმოშობის აღმოჩნდა.

- დიახ,პეკინში ვიყავი. - ქალბატონს სახე გაებადრა.

- მოგეწონათ?

რას ვუპასუხებდი.

- დიახ, ჩინეთის დიდი კედელი და იმპერატორის სასახლე მაგარი იყო.

- მე კი არც ერთი არ მინახავს.

...

ახლა მეც დავაყარე კითხვები.

- აქ გადაღება აკრძალულია?

- არა, მაგრამ ხანდახან მაინც ვამოწმებთ ადამიანებს (კულტურულად მიპასუხა,საეჭვო ადამიანებსო).

- "ექსელარენას" იქით აეროპორტი რომაა,შიდა რეისებისთვისაა?

- ბოდიში, მაგრამ არ ვიცი. აქაური არ ვარ.

- ლონდონელი არ ხართ?

- არა, ჩვენ ჩრდილო ინგლისიდან გამოგვიძახეს ერთი კვირით. ასე რომ, ლონდონს კარგად არ ვიცნობ.

- ესე იგი,ერთ კვირაში როტაცია გაქვთ?

- დიახ.

ამასობაში პოლიციელმა კაცმა გადაამომწმა ჩემი აკრედიტაცია, მომიახლოვდა და მითხრა,რომ ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ, თუშეიძლება,თქვენს მონაცემებს ჩავიწერო.

აღმოჩნდა,რომ ერთ დღეს ვყოფილვართ დაბადებული.

რა თქმა უნდა, შეწუხებისთვის უამრავი ბოდიში მომიხადეს და ამ ბოდიშებით შემაწუხეს კიდეც.

...საღამოს, სახლში დაბრუნებულს,ჩემს მეგობარს ვუამბე მომხდარი. ამან კიდევ -ეტყობა, არაბ ტერორისტს მიგამსგავსესო. მე რომ არ მიმამსგავსონ, აქ ნამდვილი არაბები არ ცხოვრობენ თუ რა არისმეთქი?

11 უცნაური სპორტსმენი ოლიმპიადების ისტორიაში

საცურაო აუზში ბეწვზე გადარჩენილი მოცურავე ეკვადორული გვინეიდან, წყალში მხტომელი გეი ავსტრალიიდან, ტრანსვესტიტი ძიუდოისტი ბრაზილიიდან, მორბენალი ამპუტანტი სამხრეთ აფრიკიდან და კიდევ რამდენიმე მეტად უცნაური და ორიგინალური ოლიმპიელი, რომლებმაც ოლიმპიურ თამაშებს განსაკუთრებული ელფერი შესძინეს.

სარა ატარი (საუდის არაბეთი)
სპორტის სახეობა: მძლეოსნობა
ლონდონი 2012

რით დაგვამახსოვრდა: როდესაც საუდის არაბეთში არსებული შარიათის კანონები ქალებს მანქანის მართვას, ქუჩაში მარტო სიარულს და საზოგადოებრივ ადგილებში სახის გამოჩენას უკრძალავს, ოლიმპიურ თამაშებში ქალების მონაწილეობაზე აკრძალვა სრულიად უწყინარ ნიუანსად გვეჩვენება. მხოლოდ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი არ შეეგუა ამას. სოკ-ის ხელმძღვანელები საუდის არაბეთს ოლიმპიური თამაშებიდან დისკვალიფიკაციით დაემუქრნენ და მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე საუდის არაბეთის წარმომადგენელი ქალბატონის გამგზავრება. პირველად ოლიმპიური თამაშების ისტორიაში ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე საუდის არაბეთის წარმომადგენელი ორი ქალი გამოდის. მძლეოსანი სარა ატარი და ძიუდოისტი ვოდშან შაჰრაჰინი.

ერიკ მუსამბანი
(ეკვადორული გვინეა)
სპორტის სახეობა: ცურვა
სიდნეი 2000

რით დაგვამახსოვრდა: საკვალიფიკაციო გაცურვა, რომელშიც მუსამბანისთან ერთად ტაჯიკი და ალჟირელი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ, უცებ საინტერესო სანახაობად იქცა. მას შემდეგ, რაც ფალსტარტის გამო მუსამბანის ორივე მეტოქეს დისკვალიფიკაცია მისცეს, კოლორიტულმა მოცურავემ, რომელსაც ცურვა სულ ერთი წლის ნასწავლი ჰქონდა, მარტომ აიღო სტარტი.

ამ ისტორიული გაცურვის უკანასკნელ 15 მეტრზე სიდნეის აუზის მაშველთა სამსახური სრულ მზადყოფნაში იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ერიკი დინების საწინააღმდეგოდ მიცურავდა და დამოუკიდებლად ფინიშთან ვერ მივიდოდა. "100 მეტრი ძალიან გრძელი დისტანციაა, მაგრამ მე მაინც შევძელი და გავცურე", - განაცხადა სპორტსმენმა გაცურვის შემდეგ. მაშინ ერიკმა 100 მეტრი 1.52,7 წამში დაფარა. სიდნეის ოლიმპიური თამაშებიდან ოთხ წელიწადში კი ასმეტრიან დისტანციას 57 წამში ცურავდა, თუმცა, მეორე ოლიმპიური შანსი მას არ მიეცა.

მეტიუ მიტჩემი (ავსტრალია)
სპორტის სახეობა: წყალში ხტომა
პეკინი 2008

რით დაგვამახსოვრდა: ავსტრალიელის სენსაციური გამარჯვება ჩინელ "რობოტ" ჩჟოუ ლუსიენთან ჭიდილში, შესაძლოა, უყურადღებოდაც დარჩენილიყო, რომ არა ერთი მეტად პიკანტური დეტალი. ერთ-ერთმა ავსტრალიურმა ტაბლოიდმა ოლიმპიური თამაშების წინ მიტჩემს ინტერვიუში აღიარებინა, რომ ის არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის იყო. მოგვიანებით სპეციალიზებულმა ამერიკულმა გამოცემამ დაადგინა, რომ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე სულ ათი სპორტსმენი იყო, რომლებმაც თავიანთი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია არ დამალეს - ცხრა ქალბატონი და მიტჩემი.

ავსტრალიელი წყალში მხტომელის აღიარების შემდეგ მას ზურგი აქციეს სპონსორებმა, სპორსტმენებმა და თაყვანისმცემელმა გოგონებმა (გოგონების მხრიდან ასეთი საქციელი ავსტრალიელს, ალბათ, არც სწყენია), თუმცა, მოვლენათა ასეთმა განვითარებამ მიტჩემს პრობლემები არ შეუქმნა. მოგვიანებით მან კიოლნში გამართულ გეი ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა და სპორტსმენების ფიციც წაიკითხა.

წყალში მხტომელთა შორის მიტჩემი პირველი გეი არ გახლავთ. ლეგენდარული ამერიკელი სპორტსმენი გრეგ ლუგანისიც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ყოფილა, თუმცა, ეს მხოლოდ სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ აღიარა.

მეტიუ მიტჩემი

ჯეფრი ბოლკიახი (ბრუნეი)
სპორტის სახეობა:
სტენდური სროლა
ატლანტა 1996

რით დაგვამახსოვრდა: ბრუნეის სულთნის უმცროსი ძმა ატლანტას ქვეყნის ფინანსთა მინისტრისა და მდიდარი ფლეიბოის რანგში ეწვია. დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება იმის მიხვედრას, რომ სპორტული თვალსაზრისით მას კარგი შედეგი არ ჰქონია. ბოლკიახი ბოლოსწინა ადილზე გავიდა. სამაგიეროდ ძვირფასი თვლებით ინკრუსტირებული თოფის წყალობით ყველას დაამახსოვრა თავი.

იპ ჩხი ვა (ჰონკონგი)
სპორტის სახეობა: ცურვა
ათენი 2004

რით დაგვამახსოვრდა: 11 წლის ჰონკონგელი სკოლის მოწაფე ათენის ოლიმპიურ აუზზე საცოდავად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით 80-კილოგრამიანი მექსიკელი და ისლანდიელი "გრენადერების" ფონზე. 100 მეტრზე ბრასით ცურვაში 11 წლის გოგონა თავიდან ბრასით ცურავდა, შემდეგ მისი საცურაო სტილი კროლსა და ბატერფლაის მოგვაგონებდა, ბოლო მეტრებზე კი სინქრონული ცურვის ელემენტებიც გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, ზემოხსენებულ ისლანდიელს მაინც გაასწრო.

რენდოლფ ნოულზი (ბაჰამები)
სპორტის სახეობა: აფროსნობა
სეული 1988

რით დაგვამახსოვრდა: დაფასებული ჭაღარა მოხუცისთვის სეულის ოლიმპიური თამაშები რიგით მერვე იყო. მისი ოლიმპიური დებიუტი 1948 წელს ლონდონში შედგა. მაშინ აფროსნობის ლეგენდა ბრიტანეთის დროშით გამოდიოდა, შემდეგ კი ბაჰამებზე გადასახლდა. 1956 წელს მელბურნში ბრინჯაოს დაეუფლა, 8 წლის შემდეგ ტოკიოში კი ოქრო მოიგო. სეულში 70 წლის ნოულზი სპორტთან დასამშვიდობებლად ჩავიდა და, მართალია, ასპარეზობა მე-19 ადგილზე დაასრულა, თავისი გამოსვლით ყველას მაინც დაამახსოვრა თავი.

კასტერ სემენია (სამხრეთ აფრიკა)
სპორტის სახეობა: მძლეოსნობა
ლონდონი 2012

რით დაგვამახსოვრდა: მძლეოსნობა გენდერულ პრობლემებს სარბენ ბილიკზე სემენიას გამოჩენამდე გაცილებით ადრე წაწყდა. მაგალითად, გასული საუკუნის 30-იან წლებში სპრინტში ბადალი არ ჰყავდა პოლონელ მორბენალ სტანისლავა ველაშევიჩს, რომელსაც მამაკაცური საწყისი მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ აღმოუჩინეს. კიდევ ერთ პოლონელ ევა კლობუკოვსკის ყველა ტიტული მას შემდეგ ჩამოართვეს, რაც გენდერულ ტესტზე დადებითი შედეგი აჩვენა.

სემენია კი სულ რაღაც ორი წლის წინ აღიარეს ქალად. მან ოპერაციაც კი გაიკეთა.

ედინანსი ფერნანდეს და სილვა
(ბრაზილია)
სპორტის სახეობა: ძიუდო
ატლანტა 1996

რით დაგვამახსოვრდა: ედინანსი სრულყოფილი მამაკაცი არასდროს ყოფილა. 17 წლის ასაკში მან სქესის შეცვლის ოპერაცია გაიკეთა და ორ წელიწადში შედგა მისი დებიუტი ოლიმპიურ თამაშებზე. ატლანტის ოლიმპური თამაშების შემდეგ კიდევ ოთხ ოლიმპიადაში მიიღო მონაწილეობა და პეკინში პოდიუმამდე სულ ცოტა დააკლდა. სქესის შეცვლის მიუხედავად, ედინანსიმ ძველი ჩვევები შეინარჩუნა. არასდროს არ იცვამს ქალის ტანსაცმელს, არ ხმარობს კოსმეტიკას. როდესაც ტატამზე მეტოქეს დააგდებდა, აუცილებლად ხელს უწვდიდა, რათა წამოეყენებინა.

ოსკარ პისტორიუსი
(სამხრეთ აფრიკა)
სპორტის სახეობა: მძლეოსნობა
ლონდონი 2012

რით დაგვამახსოვრდა: სამხრეთაფრიკელ ამპუტანტს ჯანმრთელი სპორტსმენების გვერდით სირბილისთვის დიდი ბრძოლის გადატანა დასჭირდა. ბევრი ამტკიცებდა, რომ პროთეზი მას გარკვეულ უპირატესობას მისცემდა. ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე სამხრეთაფრიკელმა იასპარეზა და ფინალამდე გასვლა ვერ შეძლო.

პისტორიუსი ერთადერთი სპორტსმენი როდია, რომელმაც პარაოლიმპიური თამაშების შემდეგ ნამდვილ ოლიმპიურ თამაშებში მიიღო მონაწილეობა. ლონდონში იასპარეზა სპრინტერმა ჯეისონ სმიტმა, რომელსაც სუსტი მხედველობა აქვს. მანამდე ასეთივე გმირობა ჩაიდინა კიდევ რამდენიმე სპორტსმენმა. პეკინი - ნატალია დე ტუა (ცურვა, მას მარცხენა ფეხი აქვს ამპუტირებული), ნატალია პატრიკა (ჩოგბურთი, მარჯვენა ხელის მაჯა არა აქვს), სიდნეი - უსინათლო ამერიკელი მორბენალი მარლა რანია, ატლანტა - იტალიელი მშვილდოსანი პაოლა ფანატო (პოლიომიელიტი), ლოს ანჯელესი - ახალზელანდიელი მშვილდოსანი ნეროლინ ფეირხოლო (ფეხების დამბლა).

ოლივერ ხალაში (უნგრეთი)
სპორტის სახეობა: წყალბურთი
ამსტერდამი 1928

რით დაგვამახსოვრდა: ბავშვობაში მომავალი ოლიმპიური ჩემპიონი მანქანის ქვეშ ჩავარდა, რის გამოც მუხლის ქვემოთ მარჯვენა ფეხი მოკვეთეს. ამან ხელი ვერ შეუშალა ოლივერის გატაცებას - ის ცურვაში ვარჯიშობდა. ყოველდღიურად დუნაიზე რამდენიმე კილომეტრს ცურავდა. საბოლოოდ კი 25 ტიტული მოიგო. იმხანად პარაოლიპიური თამაშები არ ტარდებოდა. სწორედ ამიტომ ოლივერ ხალაში ჩვეულებრივ ოლიმპიადაში მონაწილეობდა და ორჯერ ჩემპიონიც გახდა.

საბჭოთა კავშირში დიდხანს მალავდნენ, რომ უნგრული სპორტის ლეგენდა 38 წლის ასაკში საბჭოთა ჯარისკაცის მიერ გასროლილ ტყვიას ემსხვერპლა. ოლივერი ცდილობდა მაროდიორებისგან დაეცვა მამამისის მანქანა.

კეიტ ფრიმენი (ავსტრალია)
სპორტის სახეობა: მძლეოსნობა
სიდნეი 2000

რით დაგვამახსოვრდა: კეიტი გაცილებით ადრე იქცა საშინაო ოლიმპიადის გმირად, ვიდრე 400-მეტრიან დისტანციაზე ისტორიულ გამარჯვებას მოიპოვებდა. კეიტი ნამდვილი ავსტრალიელი აბორიგენების შთამომავალია. ფრიმენის მიმართ სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე უდიდესი ყურადღება იყო მიპყრობილი. გოგონას კოსმიურმა საასპარეზო კოსტიუმმა კი ყოველივეს მეტი ეგზოტიკა შესძინა.

400 მეტრზე სირბილის ფინალის ტრანსლაციამ ავსტრალიის აბორიგენული ტელევიზიის არსებობის ისტორიაში ყველაზე დიდი აუდიტორია შეკრიბა. ტელევიზორები კონტინენტის ყველაზე შორეულ და მიყრუებულ კუთხეებშიც კი დააყენეს, სადაც მოსახლეობა დღემდე თევზაობითა და ნადირობით ირჩენს თავს და ინგლისურად სიტყვაც კი არ იცის.

აბუჩად აგდებული ალპინიადა

ავთანდილ ჭყვიშელი

ყველაფერი, უფრო სწორად, თითქმის ყველაფერი ტრადიციისამებრ იყო. ტრადიციული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზაფხულო ალპინიადა; ტარდიციული იყო ალპინიადის ხელმძღვანელთა შემადგენლობა, რომელსაც ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი და მასავით ტიტულოვანი საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი დიმიტრი (მიტო) დანგაძე მეთაურობდნენ; ტრადიციული იყო ხევსურეთის ოხერხევში დაბანაკება და იქ თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობა, რომელიც ალპინისტური ანბანის შესწავლის საქმეში პირველი ნაბიჯების გადადგმას ითვალისწინებდა; ტრადიციული იყო ამ ყოველივეს მერე მწვერვალ ვაჟა-ფშაველაზე ასვლაც, რაც 1992 წლიდან რეგულარულად ეწყობა, ოღონდ ეგ იყო, მის მონაწილე სტუდენტობას იქ ასასვლელად საკუთარი ხარჯის გაღება მოუხდა, რადგან უნივერსიტეტმა საზაფხულო ალპინიადების ისტორიაში პირველი ასეთი ღონისძიება აღარ დააფინანსა.

სხვათა შორის, იგივე ბედი ეწია ამ სასწავლებლის შარშანდელ საშემოდგომო ალპინიადასაც, რაც სასხვათაშორისო საქმე სულაც არაა და ამ ყველაფერს ცუდი ტენდენციის პირი უჩანს. არადა, სწორედ ამ უნივერსიტეტში პროფესორმა გიორგი ნიკოლაძემ ჯერ კიდევ 1923 წელს საფუძველი ჩაუყარა არა მხოლოდ ქართულ, არამედ მთელი საბჭოთა ალპინიზმის ისტორიას, 1936 წლიდან კი ამ სასწავლებლის ალპინიადები სისტემატურად იმართება მისივე დაფინანსებით. ასე იყო სულ ახლო წარსულშიც კი, როცა გაღლეტილ-დაქცეული საქართველო სულს ღაფავდა. მხოლოდ 1942-44 წლებში დაირღვა ტრადიცია. მაშინ მეორე მსოფლიო ომის გამო უნივერსიტეტელებს აღარ ეალპინიადებოდათ, თუმცა, ამ სასწავლებლის კედლებში აღზრდილ სტუდენტობას და მათ პროფესორ-მასწავლებლებს მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა, მაშინ მიღებული ცოდნა და გამოცდილება დიდად წაადგათ კავკასიონის დასაცავად.

ბერა ბურჯანაძეს ფოტო

ალპინიადებში მიღებული ცოდნა-გამოცდილება შემდგომში დიდად გამოადგათ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე უკვე ცნობილ მკვლევრებსაც, მათ შორის, გეოგრაფებს, ბოტანიკოსებს, მედიკოსებს, ეთნოგრაფებს, გეოლოგებს, გლაციოლოგებს და ბევრ სხვასაც, რომლებიც პროფესიულ საქმიანობასთან ერთად მთაში სიარულით ჯანმრთელობასაც იკაჟებდნენ, მშობლიურ მხარესაც უკეთ ეცნობოდნენ და პატრიოტულ გრძნობებსაც იმძაფრებდნენ.

ეს ყველაფერი კარგად იცოდნენ უნივერსიტეტის ყველა თაობის რექტორებმა, რომელთაგან ბევრი თავადვე მონაწილეობდა ალპინიადებში და ამ მხრივაც სამაგალითონი იყვნენ.

ასე რომ, ალპინიადა სახუმარო, მეორეხარისხოვანი და ასაგდები საქმე არ არის, ხოლო სპორტის სახეობათაგან მთამსვლელობას ყველაზე მეტი გამოყენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

კოკოშკოვის მოდელი

ზურაბ თალაკვაძე

საქართველოს ნაკრებმა ესტონეთს 84:71 დაუმთავრა ყველაფერი. ესტონეთი ნორმალური გუნდია. რაღაც მომენტში ჩაგიგდებს, სადღაც შენზე უკეთესია და თუ შანსს დაუტოვებ, პრობლებემს შეგიქმნის. ესტონეთთან თბილისში, ტესტის დროს მშვიდი, თავისუფალი კალათბურთი მოსულა, საინტერესოა. ეს კალათბურთი ორმაგად საინტერესოა, როცა საქმეს ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, ვიკა სანიკიძე და გიორგი ცინცაძე აკეთებენ. მანუჩარ მარკოიშვილი უფრო სანდოა, ვიდრე საინტერესო და მარკოიშვილი ნაკრების სტაბილიზატორია. მთელ ამ პროცესში მაგრად გაუმართლა იგორ კოკოშკოვს, რომელიც კარგ, სერიოზულ ხალხთან მუშაობს. კოკოშკოვი "დეტროიტში" ცუდ ბიჭებთან ერთად იგებდა მოსაგებს და საქართველოს ნაკრებში თავისი მოდელი აქვს. მოდელი, რომელიც მაგრად ახლოს არის ერთი გუნდის მოდელთან. საქართველოს ნაკრები იზრდება.

კოკოშკოვი დატვირთვას თანაბრად ანაწილებს. იდეალურ გუნდში, მშვიდ, მოქნილ ორგანიზაციაში ეს აუცილებელია. კოკოშკოვი შიფრავს სიტუაციას, გრძნობს თამაშის ტემპს და არითმიას იდეალურად იყენებს. ამერიკულ ლიგაში არითმია ჩვეულებრივი თემაა. იქ ბოლო ათ წამში ყველაფერი იცვლება და კოკოშკოვმა ვიქტორის, ფაჩულიას და შენგელიას საუკეთესო თვისებების საუკეთესოდ გამოყენება ისწავლა. რთული პროცესი, რომელიც ყველა მწვრთნელისთვის მარტივი არ არის.

ესტონეთთან თორნიკე შენგელიამ თავისი საქმე გააკეთა. ჩვენი ბიჭი სამწამიანში ხსნიდა, ცენტრობდა, შეცდომას უშვებდა და პრობლემას აგვარებდა. ჩვენი ბიჭი მომენტებში შეუცვლელი იყო და შენგელიამ გამოცდილი, აზრზე მოსული ვეტერანივით გააკეთა საქმე. თორნიკესთან ერთად მშვიდად, კარგად ხარ და თორნიკესთან ერთად ისვენებ. შენგელია ესტონეთთან სტაბილური, ბევრქულიანი და ემოციური იყო. პრინციპში, ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო. მიიღე, მოტეხე, ჩასვი და დაცვაში დაბრუნდი. კლასიკური ფორმულა კლასიკური პროფისთვის. შენგელია მომავალია.

ესტონეთთან ბევრ რაღაცას უკომპლექსოდ, თავისუფლად, მშვიდად აკეთებ და მერე საკვალიფიკაციო ეტაპის მომენტები მოდის. ესტონეთი რუმინეთზე უკეთესია და რუმინეთთან უკვე ოფიციალური გარჩევა წავა. იქ ნაკლებად დაგინდობენ და თუ აგრესიას აგრესიით უპასუხებ, საქმეს გააფუჭებ. საქართველოს ნაკრები ესტონეთთან რეალურად კარგი იყო და რუმინეთთან, ამ შესარჩევის პირველ ოფიციალურ გარჩევაში უკეთესი უნდა იყოს. თუ არ იქნება, ბევრს დაკარგავს.

რუმინეთის გარდა, ჯგუფში ლატვია და ბოსნია გვყავს. უფრო სერიოზული, მთქმელი ტიპებით შევსებული გუნდები. ლატვია ტრადიცია და გამოცდილებაა. ბოსნიაში რამდენიმე კარგი ინდივიდუალისტი და პერსპექტივაა. ბოსნიამ მოუმატა და ამ ნაკრების ფონზე, საქართველო მაინც უფრო დაუნდობელი მანქანაა. კოკოშკოვს მეტი ბონუსი აქვს და იგორი მეტ დერეფანს ხსნის. კოკოშკოვის კალათბურთიც ბევრი დერეფანია, სადაც ძირითადად, ჩვენი ბიჭები სეირნობენ. შეიძლება, ცოტა ემოციური და ზედმეტად პოზიტიური საუბარი გვაქვს, მაგრამ თუ საუბარი რეალობასთან ძმაკაცობს, ეს საუბარი უნდა შედგეს. საქართველოს ნაკრებმა მოუმატა და საქართველოს ნაკრები რეალურია.

პერსპექტივაში, ჩვენი გუნდი ბოსნიაზე და ლატვიაზე კარგია. რუსტერით, გუნდებით, ბევრი სხვა ნიუანსით, უნდა მოვუმატოთ. კოკოშკოვი იდეალურად იყენებს ყველა პერსონაჟის პოტენციალს და კოკოშკოვი ძალიან კარგი მწვრთნელია. კომპლიმენტების გარეშე. კოკოშკოვის ნაკრები ერთი მსუყე კომპლიმენტია. უყურებ და დიდ სიამოვნებას იღებ. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, იყო ეიფორია და დღეს ეიფორია ზედმეტია. რეალურად კარგი ნაკრებით რეალურად კარგი კალათბურთის თამაში შეგვიძლია. ეს ვიცით და ეს შეგვიძლია. ყველა ნაკრებს თავისი კოზირი აქვს. საფნარგეთში ტონი პარკერი ყველა პრობლემას აგვარებს და იქვე ნიკოლა ბატუმი დარბის. ესპანეთში პო გასოლი კალათბურთის დოუელია, მარკ გასოლი გასოლია და სერჟ იბაკამ კალათბურთის თამაში კევინ დიურანტთან ერთად დაამუღამა. იქვე დარბიან ნავარო და ფერნანდესი. რუსეთში ანდრეი კირილენკო დევიდ ბლატის ნავახაა. ბლატი გენიოსია.

ესტონეთთან თბილისში, ტესტის დროს მშვიდი, თავისუფალი კალათბურთი მოსულა, საინტერესოა. ეს კალათბურთი ორმაგად საინტერესოა, როცა საქმეს ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, ვიკა სანიკიძე და გიორგი ცინცაძე აკეთებენ. მანუჩარ მარკოიშვილი უფრო სანდოა, ვიდრე საინტერესო და მარკოიშვილი ნაკრების სტაბილიზატორია. მთელ ამ პროცესში მაგრად გაუმართლა იგორ კოკოშკოვს, რომელიც კარგ, სერიოზულ ხალხთან მუშაობს.

ესტონეთთან ბევრ რაღაცას უკომპლექსოდ, თავისუფლად, მშვიდად აკეთებ და მერე საკვალიფიკაციო ეტაპის მომენტები მოდის. იქ რეალური საქართველო წამოვა და ის ნაკრები რეალურად ბევრს გააკეთებს.

კოკოშკოვის მოდელი მუშაობს.